

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ
ՀԱՅՈՒԹՅԱՆ

№ 7



Ապահովագույն
առևտունություն



1911

შინაარხი.

I — ქუჩის ბავშვები, — სურ. მეიურისა.	1
II — მთის ლოცვა, — ლექსი, კ. აბაშისშირელისა.	3
III — კალოზე, ბატონო მასწავლებელო!.. — ირ. ეგდოშვილისა	5
IV — პატარა ამბავი, — (დასასრული) ვ. შალაქიაშვილისა	8
V — ბედის-წერა, — (თარგმანი) ქლ. ანტონოვისკისა	17
VI — ორი მხატვარი, — შემდეგი (თარგმანი) ავალიანისა	19
VII — ია, — ლექსი შრომად, ვ. გორგაძისა.	30
VIII — ღიღი მოამაგის გადაცვალება, — იაკობ გოგებაშვილისა	32
IX — მთვარის სონატა ბეტჰოვენისა, — (გერმანული) ვახტანგ ერისთავისა	35
X — ბავშვის მსხვერპლი, — ისტორიული ამბავი შოტიში — (თარგმანი) თემ კანდელაკისა.	40
XI — ნარევი, — ნ. ნ — სა.	46
XII — ზღის სიმდიდრე, — პოეტებისა, (თარგმ.) ნ. წერწენავასი.	48
XIII — ქიმია, — უანგი, სიმუავე და მარილი, — შოლ ბერისა (თარგმ.) ნ. ლომაურისა.	54
XIV — გასართობი: ანდაზებით თამაშობა, — თ. ქანდელაკისა. " თუში და ვაჭარი, — კ. დარაშვილისა. " რებუსის აღსნა	62

ବ୍ୟାପକ ଶୁଣ୍ଡର

୧୯୦୧୭ ଜାନୁଆରୀ ୩୦ ଅଷ୍ଟାଙ୍ଗ

ବ୍ୟାପକ ଶୁଣ୍ଡର

୦୩ ଫେବୃଆରୀ, 1911 ବ.




ଶୁଣ୍ଡର ବାଚିତ୍ରମାଳା,—ଲୁହ. ମେହରିଲା.

შინაარსი.

I — ქუჩის ბავშვები, — სურ. მეიერისა.	1
II — მთის ლოცვა, — ღექისი, გ. აბაშის მირელისა.	3
III — კალოზე, ბატონი მასწავლებელო!... — ირ. ეგდოშვილისა	5
IV — პატარა ამბავი, — (დასასრული) გ. მაჟაჭაშვილისა	8
V — ბედის-წერა, — (თარგმანი) ელ. ანტონოვეკისა	17
VI — ორი მხატვარი, — შემდეგი (თარგმანი) ავალიანისა	19
VII — ია, ღექისი პროზად, გ. გორგაძისა.	30
VIII — დიდი მოამაგის გადაცვალება, — იაკობ გოგებაშვილისა	32
IX — მოვარის სონატა ბეტჰოვენისა, — (გერმანული) ვახტანგ ერისთავისა	35
X — ბავშვის მსხვერპლი, — ისტორიული ამბავი პოტიესი (თარგმანი) თეო კანდელაკისა.	40
XI — ნარევი, — ნ. ნ — სა.	46
XII — ზღვის სიმღიდრე, — პოეტეციისა, (თარგმ.) ნ. წუწუნავასი.	48
XIII — ქიმია, — უანგი, სიმუავე და მარილი, — პოლ ბერის (თარგმ.) ნ. ლომაურისა.	54
XIV — გასართობი: ანდაზებით თამაშობა, — თ. კანდელაკისა. " თუში და ვაჭარი, — კ. დარაშვილისა.. " რებუსის აღსნა	62





მთის წოდება.

(უძლვნი ა. შანშაბვილს)



თას ჯანყი მოუხვევეთა,
ფიქრს მისცემია მწარესა:
გაიგო—გვალვა სწვევია
მის ქვემოდ ტურფა მხარესა.

- მთა ნისლში გამოხვეული
ემუდარება ზენასო:

Յուրաքանչյուր լրացնելով մռայլութուն
իշխան մզւրդութ նույզը արուու;
Տարու շուշանակ օգուստին
Տուշենակ գաջամբը արուու!!.“

ანკარა, ლალი, ფეხმარდი
მოხტის სიმღერით ნაკადი:

ଓৰোল্লো মতেৰিস শ্ৰীলি বাৰ,
মাৰ ম্যান্দলো গালমৰণতেজুলো

ვერ შევეპუვე იქ ყოფნას,
მიტომც ვარ გამოქცეული.

მთაშ გამომგზავნა ამაყმა,
სიცხისგან იწვის ველიო;
გოლვისგან დამჭერარ ყვავილებს
ნამი სწყურიათ სველიო.

მიტომც მოვხტივარ წანწკარა,
მთის წვერით დაქანებული,
ველს წყალი ვასვა ანკარა,
გიუმაურ, აქაფებული...

პ. აბაშისპირელი





პალოხე, გაცონო გასწავლებელო!...

უძღვნი დუარსაბ ბოცვაძეს.



ვალ უკანასკნელი გაკვეთილია... გლე-
ხმა გათიბა ცხრა ურემი თივა... ცხრა
ურემი თივა... გაყიდა ერთი მესამედი...
ჰო, ხვალაც და მორჩა... გაყიდა ერთი
მესამედი... მასწავლებელმა გვითხრა, ხვალ
უკანასკნელა გაკვეთილიაო... გაყიდა ერ-
თი მესამედი... რამდენი ურემი თივა გაუყიდნია გლეხს...
ხვალაც და... ჰო, რამდენი ურემი თივა... ჰო, ნეტა ახლა
თივაში-კი გადამიგორა და... — ნატრობს გულში გიგო და თან
ამოცანას იმეორებს ტუჩებით, მაგრამ გონებაში-კი ციფირები
სადღაც ჰქონდა.

კლასში სიჩუმეა. ყველანი ამოცანას ჩატკირებენ და დისხან მასწავლებელი ჩახველებს ხოლმე და თანაც ისწორებს ცხვირზე წინ-წამოქანებულს სათვალეებს.

— არა, რა არის, რომ დღეს გათავებულიყო, ჰა? — შე-ეკითხა თვისდა უნებურად გიგო ამოცანაში გართულს ამხა-ნაგს.

— რა გათავებულიყო? — გაიმეორა ამხანაგმა, რადგან ვერ მიუხვდა, რას ეკითხებოდა გიგო.

— წყნარად!.. სიჩუმე! — მოისმა მასწავლებელის ხმა და შესწყდა ჩურჩული.

„გათიბა ცხრა ურემი, გაყიდა მესამედი... რამდენი ურე-მი თივა...“

ებრძვის გიგო ამოცანას. მზის სხივიც ფანჯრიდან მის რვეულზე ათამაშდა.

ახლა-კი მთლად დაავიწყდა გიგოს: ამოცანა, კლასი, მა-სწავლებელი. სოფელი, მინდორი, ტყე, წყარო, ჩიტის ბუდე, ქათამი, ინდაური, ჰაპა, ბებია, მამიდა აირივნენ მის თვალ-წინ ერთმანეთში და ის რაღაც ცხრაც მათის. სოფლის კუზიან დალაქივით ათამაშდა მათ შორის.

„წავალ თუ არა სოფელში, — ფიქრობს გიგო, — ჯერ ჩვენე-ბიანთ ბიჭებს ჩამოუვლი, მერე ერთად წყაროზე წავალთ, ვი ბანავებთ, მერე... მერე, რასაკვირველია, ტყეში ჯოხებს გა-მოვჭრით, ისეთი ჯოხი ამოვარჩიო, ისეთი, რომ ჰა!.. მარწყ-ვი! უჸ, შენ-კი გენაცვალე, მაგ თეთრ ყვავილში და ტკბილ გულში!.. ეეე.... სრულებით არ გადამავიწყდა! კალო! კა-ლოზე, აბა კალოზე იქნება, აი, კევრს რომ შეუდგები... შრ... შრ... როგორ მიშრიალებს ძნა კევრის ქვეშ... კევრიც რა ლამაზად მილივლივებს... რა კარგი ცხენია ჩვენი ლურჯა!.. რა მშვენივრად უვლის, მოდი ერთი გავაჭენებ... ჰა ჰა — ჰაჩუ, ლურჯა!“

და გიგომ ერთი ისეთი დაიძახა კლასში, რომ შემკრთა-



ლი მასწავლებელი ფეხზე წამოიჭრა. ამხანაგებმა სიცილი და მუსიკა მარტინი ასტეხეს.


— სადა გვინია შენ ამ წუთს შენი თავი, ჰა? — შეეკითხა მკაცრად ჯერ ისევ ფიქრებისაგან გამოურკვეველს გიგოს მას-წავლებელი.

— კალოზე, ბატონი მასწავლებელო!

მიუგო გულ-ახდით გიგომ და გაწითლებულმა ჩაღუნა თავი. იქ დაპირდა რვეული, რომელზედაც, ამოცანის მაგიერ, გიგოს კალო დაეხატნა.

ი. ევდოშვილი.





ეროვნული
გამზღვებული



პატარა აშგავი.

(დასასრული).

II.

ზე თვალებში უცქერის ქედიანს. სხივებს მუჭა-მუჭად აყრის... — ალმური სდგას პატარი ხევში... მცენარენი ყურებ-ჩამოყრილნი სდგანან... — სოვლემენ...

მღრნარე გაყრუებული მიზმორება გახურებულ მიწის მკერდზე.

ყოველი სულდგმული ჩრდილს შეპხიზნებია.

მხოლოდ მელიკო გამოუსხლტა ხეთა ქოლგას და სადგურისკენ დიდშვა... — ბუჩქნარში მოსრიალებს, რაღაც მოაქვს.

აი, მღინარეზედ ხიდად გადადებულ ხეებზეა... — გარუჯულ სახეზე ცხვირსახოცს იფარებს, მზეს ემალება... კაბა მუხლებამდინ სწვდება, წვივები ტიტველი აქვს, ფეხებზე დახეული ფლოსტები აცვია. „დაბრუნებისას უთუოდ ვიბანავებო“ გაიფიქრა და სადგურისკენ გაჰქანდა.

უბეში იმ დედაბრის ფულები აქვს. ეს რამდენჯერმე წა-



იტანა თანა და ვერა ნახა. გული დასწუდა. „ღმერთობის მიმაცემინა და მეტი არა მინდა-რა... უთუოდ მწყევლის, ბოროტი ბავშვი ვგონივარ“...

სადგურის მოცემენტებული ბაქანი გავარვარებულია... რელსებს ფეხს ვერ დაადგამ...

სადგურზე კაცი არ ჭიჭანებს.

მელიკოს ხეითქი გადასდის. მგზავრთა დარბაზში შეირბინა. იქ ცოტათი გრილოდა. რამდენიმე მგზავრი ძილს ებრძოდა: ხან მაჯებით იმაგრებდნენ თავს, ხან ბარგზე აკანტრუ-შებდნენ.

ორი ამხანაგიც ნახა მელიკომ. ისინიც მზისაგან გახუ-ხულნი, ღარიბულად ჩატარდნენ.

— მალე მოვა მარშინა? — ჰეითხა მელიკომ.

— არ ვიცი, — ზანტად უპასუხა ამხანაგმა და ერთი ღო-ნივრად დაამთქნარა.

— რა გაქვს ამ კალათაში? კიდევ იკითხა მელიკომ.

— ალუჩა. შენ?

— მოხარშული ვარიკა.

სამნივე კარებში გამოვიდნენ.

— მე ბუტკისკენ ვერ წამოვალ, მეშინია... — სთქვა მე-ლიკომ, როცა შეატყო, რომ ამხანაგები იქითკენ მიღიოდნენ.

— ნუ გეშინიან, ბებრობხანას სძინავს... — ღაამედეს ამ-ხანაგებმა.

— რომ არ ეძინოს და კიდევ დამიფრინოს? — დაეჭვიანდა მელიკო.

ამხანაგებმა დააიმედეს გაჭყვა.

მოხუცს დახლზე ეძინა. ისე ითქვამდა სულს, როგორც საბერველი. სასთუმლად ხახვით სავსე ტომარა ჰქონდა. ყა-ლიონიანი ხელი თეძოზე ედო. ბუზები ესეოდნენ... სახეზე დაცოცავდნენ...

ფურნესავით გახურებული ბუდკა-კი ყარაულად იდგა.

დამტვერიანებული თაროები, ზედ ჩამოლაგებული ორი-



ოდე ვაშლი, სანთელი, ხახვი, მაკარონის ღერები, ლიმონის განა-
დისა და ზელტერის წყალის ბოთლები, ყველის ქილა შუში-
სა— აი რითი იყო მოკაზმული ეს ბუდეა.

ყველაფერს პატრონთან ერთად ეძინა და სიცხეში იხა-
რშებოდა.

— მელიკო გათამამდა... კარგა ხანს იჯდა ბუდკის ახლო
ჩრდილში, ამხანაგებში ლაზლანდარობდა.

წყლის დალევა მოუნდა. იქავ ბოჭკას მიმართა და ზედ
ჯაჭვით მიბმულ თუნუქის ჭურჭლით წყალი დალია.

— ტფუ... რა თბილია! — წამოიძახა და ჭურჭელი ხელი-
დგან გაუშვა. რაწკუნი გაისმა.

ხმაურობაზე მოხუცს გამოელვიდა. გაიზმორა, დაამთქა-
რა, აბურდულ წვერებზე ხელი ჩამოისვა და ზანტად წამოჯდა.

მელიკო შიშმა აიტანა. ამხანაგებს უკან აიტუზა, ცდი-
ლობს მოხუცმა არ დაინახოს. ამხანაგებიც ერთგულად მალვენ.

— რას შვრებით აქ, ბავშვებო? — იკითხა მთქნარებით
მოხუცმა და ბავშვებისკენ წამოვიდა.

მაღალია, ჭალარა, თმა-აბურძენული, წინსაფარი აფარია.
მრისხანე ჩაცვინული თვალები აქვს, გრძელი ცხვირი, ჩაბუ-
ქებული წარბები... ულვაშ-წვერი ტუჩებთან გაჰყვითლებია...
თან ყალიონს მოუქმუტუნებს.

მელიკო სულ მოიკუნტა, აცახცახდა, მაგრა ჩაჰკიდა ქა-
თამს ხელი.

— შე ტურის შვილო, შენ! რას მემალები? — მიაღაპა-
რა წყნარად მოხუცმა და სახეზე ლიმილმა გადურბინა.

მელიკოს იმედი მიეცა — რაკი გაიცინა, ალბად კარგ გუ-
ნებაზეა და ცუდს არას დამმართებსო.

— რა ქენი, ფული არ მომიტანე? — კიდევ ჰკითხა მო-
ხუცმა.

მელომ პასუხი არ გასცა. მოხუცი ცოტა შეჩერდა, მერ-
მე უცებ მოიღრუბლა და მრისხანედ უთხრა:

— არა?! ტურა დედაშენს უნდა მარტო შექამოს? აბრა
ხოთ, ვინ აჯობებს. მე თუ შენ!..

ამ სიტყვებით ელვასებრ სწვდა მელოს თმაში და წიწი-
ლივით ააწიალა... მაგრა შეანჯლრია... ძირს დაანარცხა...
ქათამი გააგდებინა... თეფუში გატყდა...

— შე, გველის წიწილო, შენა? კიდევ ჰედავ აქ ვაჭ-
რობას? — ბურდღუნებდა მოხუცი. გაგორებული ქათამი დაინა-
ხა... ფეხი წაპკრა და სულ დაჩეჩქვა, მტვერში გასვარა...

მელოს ტირილი ცასა სწვდებოდა... ამხანაგები დამფრ-
თხალნი უცქეროდნენ ამ ამბავს... მოხუცი-კი წყნარად წავი-
და თავის ბუდკისკენ. თან ყალიონს იბერტყავდა ხელის გულზე.

IV.

ასლოკინებული მელიკო სახლში მივიდა.

— უიმე, შვილო! რა მოგსვლია, რა დაგმართნია? — შე-
ჰკივლა დედამ ასლოკინებულ მელიკოს.

— რა იყო, ვინ გაგლახა, შვილო?

მელოს გული ამოუჯდა, სიტყვა ვერ მოახერხა, ცრემ-
ლები ახრჩობს... გული ლამის სლოკინს ამოატანოს...

დედის მიალერსებამ და მიფერებამ მელიკოს გული გაუ-
თამამა... თანდათან დაწყნარდა... მეზობლის ქალებიც გარს
ახვევიან.

ამბობს რაც გადახდა. . სლოკინობს...

— უი, იმას არ ელირსა ცხონება!.. ის წაწყმინდოს ღმე-
რთმა!.. ეს მეორეთაა, ასე რომ ბავშვი ამიტირა!.. ამბობდა
გულ-გაცეცხლებული დედა.

— ის სულ-კატიანი... ზეზეურად წასაწყმენდი... რას
ერჩის ანგელოზ ბალანას? ძლივს ორიოდე გროშს იღებს* და
რათ უსპობს ლუქმას უპატრონო კაციშვილს? ეგ სულ-აძა-
ღლებული, ეგა... ამბობდნენ მეზობლის ქალები და მელიკოს
აიმედებდნენ.

— ის თავიდანვე ასე იყო,—სთქვა ერთმა ქალში^{မနက ရ ပ ါ န မ ိ သ ာ ့ း} ველთვის ავს სთესავდა, მუდამ უამს კუთხე-მეზობელი მომდუ- რებული ჰყავდა... ცოდვით ნაშოვარი აქვს ყველაფერი, ცოდ- ვით...

— აკი მისი წყალობითაა, რომ იმ ქალის ცოდვა ჩამედ- ვა!. ბავშვისათვის რომ დროზე მიეცა ხურდა, ეს-კი არ შე- მხვდებოდა... რა ქენი, შვილო, ფული ხომ არ წაურთმევია?

— არა, დედა, აგერა მაქვს... მელომ ფულები დედას გადასცა.

— კარგი, შვილო, გული დაიწყნარე, შენი ჭირი წაუ- დია იმ ქათამს... ოღონდ შენ იყავი კარგად და ქათამი შენ სანაცვალოდ წავიდეს... ვითომ ტურას მოეტაცნოს, გაუთა- მამა შვილს გული დედამ.

— თებრონე, შენც ერთი დაუინებული აღამიანი ხარ,— უსაყვედურა ერთმა ხანში შესულმა ქალმა მელიკოს დედას,— არ იცი, რომ მაგ ფულების დამტოვებელ ქალს ვეღარ ნახავ? არაფერზე არ მოვიხმარო, რომ იძახი, რა არის ვითომ? არ მომხდარიყო — კარგი იყო და, რაკი ასე მოხდა, კიდეც მოიხმა- რე. ძალით შერჩენილი ხომ არ არის, ან მონაპარევი? აი, იმ შენს მელოს რომ არაფერი აცვია და ტიტველი დადის, რამე უყიდე და უფრო მადლი იქნება... მაგას არც კაცი გიძრახავს და არც ღმერთი გიწყენს... ნამეტანი სიმართლეო გამოვი- ლევს სინათლესო... ხომ გაგიგონია?

— რას ამბობ, ბექა ნინო? ამ ხელა ქალი გავზდილვარ, სხვისი ნაოფლარი არ შემიჰამია და დღეს ჩავიგდო მუცელში? ღარიბათ ვარ და კიდეც ვიქნები ასე... თუ რამეს მომცემს ჩემი მარჯვენა, მოვიხმარ და ის იქნება, თუ არა და სხვის ნა- შრომს არ შევჭამ. რათ მინდა სხვისი ნაცოდვარი? ღმერთმა ნუ შემარგოს,—უთხრა თებრონემ.

— ქალო, გაიგე, რომ ცოდვა არ არის! გაჭირებული ხარ და ღმერთმა მოგცა,—კიდევ გაუმეორა ნინომ.

მელიკო და მისი დედა სახლში წამოვიდნენ.

დედა ფიქრებშია: „რა დამემართა ეს, რა მომიყიდა? რას მიშვრება ის სულ-წაწყმენდილი მოხუცი? რას მერჩის ქვრივოხერს? რა დაუშავე? ჩემს მარჩენალს და სიცოცხლის გამხარებელ შვილს რაზე მიღახავს ის დასალახვრავი, ისა“ .. თან სიბრაზე ერევა, ცახცახებს...

ფიცხლავ სადგურზე ჩამოირჩინა. მოხუცს ბუდკა დაეკეტა, იქ არ დახვდა. მეორე დილამდე არ გააღებდა. გაცეცხლებულ თებრონეს მაშინვე უნდოდა სახლში მივარღნოდა მოხუცს, მაგრამ გადაიფიქრა არ იქნება კარგი, მეზობლებში შერცხვება, გაილანდებათ და ისევ ხვალისათვის არჩია მარტო. მოლაპარაკება.

სახლში დაბრუნდა გულ-აჩეილებულ მელოს ყველაფერი უამბო და თან გაათამამა, დააიმედა, ურჩია არ ეჯავრა. შემდეგ ორივენი ბოსტანში სამუშაოდ გამოვიდნენ.

ეს ბოსტანი იყო ზაფხულობით მათი მარჩენელი. მას შემდეგ, რაც თებრონე დაქვრივდა, ეს-ლა დარჩათ იმედად. დაღებოდა გაზაფხულ-ზაფხული თუ არა, მელიკოც შეუდგებოდა ბოსტნეულით ვაჭრობას სადგურზე და იქავ ახლო თხუთმეტამდე დუქანში. გარდა ბოსტნეულისა, ჰყიდდა ჰყინტლ სიმინდს, მარწყვს, ხილეულობას და სხვას. ზამთარშიც ასე ვაჭრობით ირჩენდნენ თაგს, მხოლოდ სავაჭრო საქონელი სხვა ჰქონდა: იყიდდა თებრონე რამდენსამე გირვანქა პურის ფქვილსა და ყველს, გამოაცხობდა ხაჭაპურებს და რამდენისამე კაპეიკის მოგებით მელოს აყიდვინებდა სადგურზე. გარდა ამისა, ცოტა ქათმებსაც ჰყიდდნენ, კვერცხსაც. ასე რომ მატარებელი იყო მათი სულის ჩამდგმელი და იმედი. მის მოსვლას ისე უყურებდნენ, როგორც ციურ მანანას.

ხშირად თებრონეც-კი გამოდიოდა მატარებლის მოსვლისას და, შვილის მაგიერ, ის ვაჭრობდა.

დედა და შვილი ბოსტანში მუშაობენ...

მჩე ბზრიალ-ტრიალით ეშვება... ალისფერ კაბას იკრეფს, ემზადება მთების იქით ჩასახტომად, დასამალავად..

ხეების ჩრდილები თვალსა და ხელს შუა იზრდება... შავ ზოლად ეკეცება დედამიწას.

აი, მზემაც დაგვინათა, დაიმალა... დასავლეთი ლოკა-აჭითლებული დასტოვა... უკანასკნელ სხივებს ცის კამარაში ისვრის... მთების წვერებზე წაფუთნული ღრუბელთ ქულები წითელ ყვითლად შემოსა... ოქროს გვირგვინით გაჩირალდნე-ბულნი დგანან... დაჩრდილულ ბარს გადმოსცინიან...

ცოტა ხანი და გვირგვინიც ლურჯდება, შავდება, სხივე-ბი ემშვიდობებიან... მთებიც შავად იფუთნებიან...

სიომ მოპარება... ქვეყნის აკვანი წაარწო... დაიძინეო...— ჩასჩურჩულა კარ-მიღამოს...

მზის მაგირ დასავლეთმა ერთი ვარსკვლავი აანთო...
ესაა ქვეყნის ლამპარი ბნელეთში სამოგზაუროდ...

V.

თებრონეს თვალს ძილი არ ეკარება. გულში ცეცხლი უნთია. „რას მიშვრება ის ადამიანი? რა დაუშავე? ძლივს სულს ვიბრუნებ, არავინ შემიწუხებია, ამხელა ქალი გავზღილ-ვარ და ჩვენს სოფელში არავინ ჩემი მომდურავი არ არის და იმას რა გველი შეუწვი? იქნება მართლაც არ მავაჭროს... სა-დგურის უფროსს ეტყვის... ჯანდართან დამასმენს... რამეს შემწამებს.. კაცია, დაუჯერებენ. მაშინ რა ვწნა მე, შავ-დღეზე გაჩენილმა? რა მიწაში ჩავარდე, რით ვირჩინო თავი“?..

ასეთ ფიქრებშია გაროული თებრონე და სიბრაზით ლო-გინში ვერ მაგრდება.

ბავშვიც აღელვებულია, ძილშიაც-კი სლოკინებს...

მართლაც მელო ხანდისხან შეკრაებოდა და ამოი-სლოკინებდა ხოლმე...

გათენდა. თითქმის მთელ ღამის თეთრად გამოენებელი თებრონე აღრე აღგა. ქათმები დააპურა. ეზოში მიიხელ-მოი-ხედა.

თან ფიქრებში იყო: „რა ვქნა, როგორ მოვექცე იმ მებუდკეს? ვაი თუ მეტად გავაჯავრო და სულ დავიღუპო, ლუკმა პური გავიწყვიტო“!..

მელიკოს-კი ტკბილად ეძინა, ეხლა კი არ სლოკინებდა.

დედამ წასვლის წინ გააღვიძა, თან დაუბარა, თუ რა გაეკეთებინა ოჯახში და თვითონ სადგურისკენ გაემართა.

მოხუცი ახლა-კი ბუტკაში დაუხვდა. ჩვეულებისამებრ ყალიონს აბოლებდა.

— დილა მშვიდობის, — მოკრძალებით მიესალმა თებრონე.

— იცოცხლე, — უპასუხა მოხუცმა და თვალი აავლო.

— ივანე, ხომ იცი მე რისთვის მოვიდოდი: — დაიწყო წყნარად სიჩუმის შემდეგ თებრონემ.

— ვიცი, რა გინდა მერე?

— რისთვის მილახავ იმ ბავშვს?.. რა დაგიშავა? უფროსი მე ვარ და მე უნდა მითხრა.

— მე რას დამიშავებდა? თავის თავს დაუშავა...

— თავის თავს თუ დაუშავა, შენ რას ერჩი, რად გამილახე? ხომ იცი, ანთებული სანთელივით შევყურებ. იმის მეტი რა მყავს ამ ქვეყანაში? ისაა ჩემი გულის ყვავილი...

— მერე? მერე რა? მომეცი, რაც მერგება იმ ფულები. დან და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს შენცა და იმასაც... მე რას გერჩით... — უთხრა წყენით მოხუცმა და თაროების დასუფთავება დაიწყო.

— ივანე, ნეტავი თუ მართლა ამბობ მაგას?.. რა ფული მოგცე? განა ჩემია?

— აბა, ვისია? გააწყვეტინა უცებ მოხუცმა, მე გაშოვნინე, იცი? მე... და ნახევარი ჩემია... რაზე მალაპარაკებ და მაწყენინებ?... რაზე არ გაზრდი შენს შვილს? გუშინ გამლანდა, გამაგულიანა და მოხარშული ქათამიც გამაფუჭებინა.

— ჩემი შვილი შენ ცუდს არას გაკადრებდა. .

— ძალიან გაზღიული გყავს... არ მაჟადრებდა!.. კარგი ბრძანებაა!.. აბა, მე ვტყუი, არა? თუ ასეა, აბა, ვნახავთ, ვისი გავა?..

იქადნებოდა მოხუცი. თებრონე თავს იმაგრებდა, ცდილობდა, ცუდი არა წამოსცდენოდა-რა.

— ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ შევჭამოთ იმ ქალის ნაცოდვარი? — ჰერთხმა ბოლოს.

— არაფერი ნაცოდვარი არ არის... ღმერთმა მოგვცა...

— არა, ჩემო ივანე, ჯერ-ჯერობით ეგები ის ქალი გამოჩნდეს და მივსცემ... ყოველ დღე ვატან ბავშვს საღვურზე...

— ძალიან სულელიც ყოფილხარ... მე ჩემი მომეცი და შენ, როგორც გინდა, ისე ქენი... თუ არ მოგიცია, აქ ფეხს არ დავადგმევინებ შენ შვილს...

თებრონე ბრაზმა აიტანა, აპილპილდა.

— ღმერთი არ გწამებია შენ, უღმერთო ყოფილხარ!.. ჩაილაპარაკა და ჯიბიდან ფულები ამოილო...

— აა, ისე შეგარეოს ღმერთმა, როგორც გემართლებოდეს, — უთხრა და ფულები დახლზე დაუყარა...

— მე არ მინდა სხვისი ნაცოდვარი... ყველა შენ გქონდეს... შენ იცოდე და შენმა ღმერთმა... შე, წაწყმენდილო, შენა.. ლაპარაკობდა გაცეცხლებული თებრონე და სახლისკენ მიღიოდა.

მოხუცმა ფულებს დახედა. გადათვალა, ჩვიდმეტი შაური იყო.

— აწყინოს ამ ფულებმა ივანე სანთლაძეს!.. ისე სულელი რომ ყოფილხარ, იმისათვისაა, რომ შიმშილით კვდები, — სოქვა და ფულები დახლში ჩაყარა.

ვ. მალაქიაშვილი.



გედის-შერა.

(არაბული ამბავი)



გა თვის მრისხანე ბატონის წინაშე; სახე გაჰყვითლებოდა, მიწის ფერი ედო და მთლად კანკალებდა შიშითა.

— დიდებულო ხელმწიფევ, — წაიჩურჩულა ვეზირმა, — გე-ვედრები დამითხოვე. დაუყოვნებლივ უნდა წავიდე... უნდა შევკაზმო ჩემი აქლემები და წავიდე აქედგან შორს, სირიაში.

მოხუცმა ხალიფაშ გაკვირვებით შეხედა და ჰკითხა:

— რა მიხეზია, რომ ეგრე ეშურები, შვილო? მე არა მსურს ჩემს სტუმრებს თავი დაანებო, ჯერ ხომ ნადიმი არც-კი დაწყებულა. რამ შეგაშინა, რამ აგაშფოთა ეგრე? *

ვეზირმა უპასუხა ხმის კანკალით:

— ეს არის ახლა შემხვდა სიკვდილის ანგელოზი, დაკვირვებით დამაშტერდა და მივხვდი, რომ, თუ ახლავ არ გავი-ქეცი აქედგან, მოვკვდები.



— თუ ეგრეა, — უბრძანა ხალიფამ, — გითხოვ ბოდ; ალლაპი იყოს შენი მფარველი!

ვეზირი წავიდა.

იმავ საღამოს თითონ ხალიფას შეხვდა სიკვდილის ანგულოზი და ხალიფამ ჰკ-თხა:

— რა მიზეზი იყო, რომ ისე დაკვირვებით უცქეროდი ჩემ ვეზირსა?

— გამიკვირდა აქ რომ ვნახე, ნადიმზე, — მიუგო ანგულოზმა, — რადგან ბრძანება მაქეს მიღებული, ხვალ შორს, სირიის გზაზედ მიმავალი, უნდა მოვკლა.

ელ. ანტონოვსკისა.





ო რ ი მ ხ ა ტ ვ ა რ ი.

(შემდეგი).

თ ა ვ ი II.



რო დროს მისდევდა ჩვეულებრივ. მოხუც
მინდის ბავშვების მდგომარეობა თანდათან
უარესდებოდა. ახლა მამა მოელ კვირაო-
ბით შინ არ შეიხედავდა ხოლმე. საწყა-
ლი ბავშვები შიშილით რომ არ დახო-
ცილიყნენ, იძულებული გახდნენ მოწყა-
ლების თხოვნა დაეწყოთ. თითქმის ყოველ დილას ხან კატო,
ხან ნიკლასი გაიპარებოდა მახლობელ სოფელში და მოწყალე-
ბისთვის გაუბედავად უკაკუნებდნენ მათვე მსგავს ღატაკების
ფანჯრებს. უნდა შევნიშნოთ, რომ მეზობლები მოწყალებაზედ
უარს არასოდეს არ ეუბნებოდნენ ბავშვებს და, თუმცა თვი-
თონაც ღარიბნი იყვნენ, მაინც, შეძლებისა დაგვარად, განიკო-
თხავდნენ ხოლმე. ერთი პურის ნაკერს აძლევდა, მეორე—რა-
მდენსამე კარტოფილს, მესამე—კათხით თხის რძეს და სხვ.
ამგვარად პატარა მინდები, როგორც იყო, გაჭირვებით დღი-
ურ ლუკმას შოულობდნენ; მამა—კი, როდესაც შინ დაბრუნ-
დებოდა, მხოლოდ ცემა-ტყებითა და წყევლა-კრულვით აჯილ-
დოვებდა; არ უყვარდა მეტადრე ფრიდლი სიმახინჯისა და სი-



ზანტისათვის. ამიტომ საცოდავი ბავშვი დღითა-დღე უფრო მშიშარა ხდებოდა და, არამც თუ მამის წინ კახცახებდა, თი-თქმის ნიკლასსა და კატოსთან ყოფნასაც გაურბოდა. ხშირად მთელის სათობით ამოეფარებოდა საღმე მახლობელ კლდეს. და ქვაზედ ან სილაზედ სხვა და სხვა სახეებს ხაზავდა. ნიკლა-სი და კატო-კი, თუმცა თვითონაც პატარეები იყვნენ, ძლიერ სწუხდნენ, ფრიდლის ხასიათის გამოცვლას რომ ჰედავდნენ, და მუდამ ჰზრუნვდნენ საწყალ ბავშვისათვის. საღილად რომ დასხდებოდნენ, საუკეთესო ნაკრებს ფრიდლის აძლევდნენ. ეფერებოდნენ, იწვევდნენ სათამაშოდ, მაგრამ არაფერი შვე-ლოდა: ბავშვი სულ უფრო და უფრო გაურბოდა და-ძმას.

ბოლოს დადგა ფრიდლის დაბადების დღე. წინა დღით ნიკლასი და კატო მთელი საღამო სულ იმის ფიქრში იყვნენ, რით გაეხარებინათ საწყალი ძმა, და ძლიერ სწუხდნენ, რომ არ შეეძლოთ ეყიდათ მისთვის თაფლში მოზელილი კვერები, როგორც განსვენებულმა მათმა დედამ იცოდა ხოლმე.

— იცი, კატო, რა უნდა გითხრა? — გადაჭრით წარმოსთქვა ბოლოს ნიკლასმა და მხიარულად მიაპყრო დას თავისი ნათე-ლი, ჰკვიანი თვალები: — რაღან ფული არა გვაქვს და, მაშა-სადამე, არც არაფრის ყიდვა შეგვიძლიან ფრიდლისთვის, ამი-ტომ მოდი, აი, რა ვქნათ: ბევრი, ძალიან ბევრი ყვავილი-მოვკრიფოთ და მოუტანოთ ფრიდლის; იმას ხომ უყვარს ყვავილები და უთუოდ ძლიერ გაუხარდება, ყვავილების თაი-გულს რომ დაინახავს. კატოც დაეთანხმა ამ აზრს. მეორე დი-ლას, მზე კიდევ არ ამოსულიყო, ბავშვები მთაში წავიდნენ ყვავილების მოსაკრეფად. იქ ერთი პატარა კორდი ეგულებო-დათ, რომელიც ცივ ქარებისაგან ყოველ მხრივ ციცაბო კლდეებით იყო დაცული; იცოდნენ, რომ ამ კორდზე ბევრი მშვენიერი ყვავილი იზრდებოდა. აქ იყო მყინვარის ვარდები, სუნელოვანი ია და მდიდრულად გაშლილი ალისფერი მიხა-კი. მართალია, ამ აღმართ-დაღმართ მთაზედ ასელა საკმაოდ ძნელი იყო, მაგრამ ბავშვები ამას უურადლებას არ აქცევდნენ.

მიფორთხავდნენ მაღლა-მაღლა და ებლაუკებოდნენ ხან შეცნა-
 რებს, რომელნიც ხშირად შეხებისათანავე ხელში რჩებოდათ,
 ხან პატარა ბუჩქებს. ამნაირად მაღლ სასურველ ადგილამდი-
 საც მიაღწიეს და მზის ამოსვლამდის მოჰკრიუეს აუარებელი
 სხვა-და-სხვა გვარი ყვავილები, რომელიც უფრო მოეწონათ.
 შემდეგ ცოტა დაისვენეს, სუნნელოვან ბალაზე გაგორდ-გა-
 მოგორდნენ, თითო ნაჭერი სახლიდან წილებული პური შეჭა-
 მეს და შინისკენ დაბრუნდნენ. ამ გვარად, ხუთის სათის სია-
 რულს შემდეგ, პაჭია მინდები შინ იყვნენ. თუმცა გვარიანად-
 კი დაიღალნენ, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერ მხიარულნი და კმას
 ყოფილნი იყვნენ, რომ მთელი გროვა სხვა-და-სხვა გვარი
 მშვენიერი ყვავილები იშოვეს.

ბავშვები რომ დაბრუნდნენ, ფრიდლის კიდევ ეძინა. და-
 სხდნენ ქოხის კარებში და გვირგვინის კეთება დაიწყეს. ნი-
 კლასი ყვავილებს აძლევდა ხელში, კატო-კი ერთმანეთში აწ-
 ნავდა და ბალახით ამაგრებდა. როდესაც საქმეს მორჩნენ,
 ბავშვები კიდევ წავიდნენ და დახედეს ფრიდლის, იქნება გაი-
 ღვიძაო; მაგრამ ფრიდლის, თითქოს განვებ, კიდევ ღრმად
 ეძინა.

— რა ვქნათ, ნიკლას! ფრიდლიმ რომ დიდხანს იძინოს,
 ჩვენი გვირგვინი ხომ დაჭრება? — შეცნიშნა შეწუხებულმა კა-
 ტომ, რომელსაც ეტყობოდა, ძლიერ ეშინოდა, რომ მათს
 შრომას ტყუილად არ ჩაევლო. მაგრამ საქმე კარგად მოეწყო.
 რამდენსამე წამს შემდევ, ფრიდლიმ თვალები გაახილა და შე-
 შინებულმა აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, აქ ხომ არ არის მა-
 მაო; მაგრამ, მამის ნაცვლად მის წინ იდგნენ მოხარული ნი-
 კლასი და კატო.

ბავშვებმა გადაჰკოცნეს ძმა, მიულოცეს დაბადებისა დღე,
 უსურვეს კარგად ყოფნა და მისცეს მშვენიერი სუნნელოვანი
 გვირგვინი. ამ მოულოდნელმა საჩუქარმა იმდენად არ გაახა-
 რა ფრიდლი, რამდენადაც გააკვირვა. მისი სუსტი ჭიუა პირ-
 ველად ვერას გზით ვერ მიხვდა, რას ან რისთვის ულოცავდ-

ნენ. შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, თვალ-ცრემლიანმა დაუწყო და-ძმას ხვევნა-კოცნა და თან განუწყვეტლივ იმეო-რებდა: „მიყვარს კატო! მიყვარს ნიკლასი!

მაგრამ ეს მხიარულება დიდხანს არ განგრძობილა. რამდენსამე ხანს შემდეგ, ფრიდლიმ განზე გადადვა ეს მშვენიერი გვირგვინი და ისევ ჩკეულებრივ სიჩუმეს მისცა თავი. კატო ამასობაში, როგორც კარგი დიასახლისი, საუზმეს ამზადებდა. გადაწმინდა სუფრა, დადგა ზედ წვნიანი შვრიით სავსე ჯამი, დადვა რამდენიმე ნაქერი გამხმარი პური დი მხიარულად მოიწვია ძმები საუზმედ. მართალია, კატოს გაკეთებული წვნიანი შვრია ძლიერ გემრიელი არ იყო, რადგან შესაგემებლად ერთი ბეჭრ მარილის მეტი არაფერი ჰქონდა, მაგრამ ბავშვებს ძლიერ გაუხარდათ, ცხელი საჭელი რომ დაინახეს და დიდის სიამოვნებით მიჰყვეს ხელი ჭამას.

ნიკლასი და კატო ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ეს დღე დღესასწაულისთვის დაემსგზავსებინათ და მხიარულის ოხუნჯობით უნდოდათ გაერთოთ მოწყენილი ფრიდლი, მაგრამ ის მხოლოდ ხანდისხან გაიღიმებდა ხოლმე და ეს ღიმილიც ისეთი ნაღვლიანი და ნაძალიადევი იყო, რომ თვითონ ბავშვები სწუხდებოდნენ და უხერხულად ჰგრძნობდნენ თავს. მაგრამ ამ უბედურ ბავშვის დაბადების დღეს ერთი ისეთი შემთხვევა მოჰქდა, რომელმაც, არამც თუ დიდხანს გაართო ბავშვი, მთელ მის დანარჩენ სიცოცხლეზედაც დიდი გავლენა იქონია.

საქმე, აი, როგორ იყო: საუზმეს რომ ათავებდნენ, უცებ კატომ კარებს უკანიდან რაღაც შესაბრალისი კნავილი გაიგონა და მაშინვე მივარდა ამბის გასაგებად. კარი რომ გააღო, დაინახა ერთი ლამაზი ნაცრისფერი კატა, რომელმაც წელი მაღლა. აიზნიქა და დაუწყო კატოს ალერსით კრუტუნი და ტანისამოსზე ხახუნი.

— ნიკლას, ნიკლას! მოდი აქ, მოდი! — მხიარულად და-



უძახა კატომ; უნდოდა ეჩვენებინა ძმისთვის თავისი შემოწმებისა და კატა.

ნიკლასმაც დიღხანს არ აცდევინა, ორჯერ-კი ისკუპა და ხელად კარებს უკან გაჩნდა და, მოულოდნელ სტუმრის დანახვაზე, ერთი მხიარულად შეხტა შეიკუნტრუშა და ტაში შემოჰკრა.

— უთუოდ მშიერია საწყალი! — შეპნიშნა და ალერისი დაუწყო კატას. ნიკლასმა გამოცდილებით კარგად იცოდა შიმშილის სიმწარე.

— როგორ ფიქრობ, ვისი უნდა იყოს ეს კატა? — ეკი-თხებოდა ამასობაში კატო.

— უთუოდ შორიდან მოსულია, თორემ ჩვენს შეზობლებში ერთ კატასაც ვერ ჰნახავ, — სთქვა ბავშვმა და ხელმეორედ მოაგონა დას, რომ ჯერ საჭირო იყო კატისთვის რამე ეჭმიათ.

— კარგი, კარგი! დაეთანხმა კატო: — ეხლავე ვაჭამოთ შონარჩენი ხორცის წვენი; შემდეგ-კი ფრიდლის ვაჩვენოთ და უთხრათ, დღეს რომ შენი დაბადების დღეა, ეს კატა შენთვის გვიჩუქებია-თქო.

— მხილოდ-კი არ შეეშინდეს და! — სთქვა დაფიქრებით ნიკლასმა და შემდეგ ორივემ დაუწყეს კატას ხელის სმა და კოცნა; ისიც ცდილობდა სამაგიერო გადაეხადნა ახალ მეგობრებისათვის და მხიარულად კრუტუნებდა.

ბავშვებმა ცოტა წაითამაშეს კატასთან და შემდეგ ქოხში შეიყვანეს, რომ იქ დაეპურებინათ და შემდეგ ფრიდლისათვის მიეცათ; მაგრამ, როგორც-კი კარაპანს გადააბიჯეს, ფრიდლი სწრაფად წამოხტა, სტაცა კატას ხელი დი მასთან ერთად დაიწყო მხიარულად ტრიალი. — ციცუნია, ციცუნია! ჩემო საყვარელო ციცუნია! ეალერსებოდა სხვა-და-სხვა ხმაზედ და მაგრად იკრავდა გულში: — ციცუნია ჩემია? იკითხა ბოლოს, ცოტა რომ დამშვიდდა, მაგრამ ხელიდან მაინც კიდევ არ უშვებდა კატას.

— კი, გენაცვალე, კი! თუ პატრონი არ გამოუჩნდა,

ପ୍ରିଯୁନୀଙ୍କ ଶେରି ଏହିଦା,—ଅମ୍ବୁଦ୍ଧେବଦା ନିକଳାସି.—ଶେରି କାହାରେ ଏହିଦା—
କୁଣ୍ଡ, କାରୀ? କାରୀଙ୍କ କୋମ ତାଙ୍ଗିଲିତ ଶେଷଦ୍ଵାରା ତାଙ୍ଗି ନରହିନିବା?—
ମିମାର୍ତ୍ତା ଦାଶ:—ତାଙ୍ଗିଦିଲି ଦା ବାଧୁଧିଦିଲି ଦାଖେରା କୋମ ଶେଷଦ୍ଵାରା
ଦା ହିର୍ବନ୍ଦ ମାଗିଲିତଙ୍ଗି ଥର୍ମନ୍ଦା ଏହି ଦାଖେକିରିଦେବା?

— ରାଶାକ୍ଷୁରିଦ୍ଵାରା. ଡେଲାପ ଏହି ନୀତିପଦା କୋମମ୍ଭେ, କାରୀଙ୍କ
ତିତକ୍ଷମିଲି ଶୁଣି ଏହି ଉନ୍ଦା ଶାକମଲିଲି ଦଲ୍ଲେବାନ, —ଦାଖମାର୍ତ୍ତା କାରୀମ.

ଅଧିକାରୀଙ୍କ ଗାରାଶିପଦା କାରୀଙ୍କ ଶେରାକ୍ଷୁରି ଶାକମ୍ଭେ.

— ଓଡ଼ି, ପ୍ରିଯୁନୀଙ୍କ, ହିମ୍ବ ପ୍ରିଯୁନୀଙ୍କ, ଶାକାର୍କୁଳିଟ ପ୍ରିଯୁ-
ନୀଙ୍କ! — ଅଭିନବଦା ଅଭିନବଦା ଫୁରିଦଲି ଦା କାରୀଙ୍କ ଚାଲେକିଶେବନଦା.
ଶେଷଦେଇ ଆଲାମ ଶୁଭରିଦାନ ଲାଭଦାକି, କାମର୍କିଲ୍ଲେଦାପ ପାର୍ତ୍ତା ଶିଶ୍ରେ-
ନି କିର୍ଦ୍ଦେଇ ଦାର୍କିନିଲ୍ଲୋପ, ଦାର୍ଦ୍ଦା ପାର୍ତ୍ତାକ୍ଷେ କାରୀଙ୍କ ଶିନ ଦା ତବାଲୁ
ଏହି ଅଶୋକଦା ତାଙ୍ଗି ଏବାଲ ମେଘବାହି, କାମର୍କିଲ୍ଲେଦାପ ଶିଲ୍ପିଦା ଏହି
ଏହି ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶାକମଲି. ଏବାଲ ବାପଶ୍ରେଷ୍ଠ ମୋହତମ୍ବନିଲାଦ ମୋ-
ହିନ୍ଦା ଏହି ଶିଥିମ୍ବ, କାମର୍କିଲ୍ଲେଦାପ କାରୀଙ୍କ ପାମାଶ ଗାରାଶିପଦା ଦା କିର୍ଦ୍ଦେଇ
ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ମିଳି କେଲାମ୍ଭି ଆପାନା.

ନିକଳାଶ ଦା କାରୀଙ୍କ ଦ୍ଵୀପରିବାତ, ଫୁରିଦଲି କାମ ଏହି
ଦାଖମିଶେବନଦା କାରୀଙ୍କ. ଗ୍ରେଗର୍ନେବନଦାତ, କାମ ବାପଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କ ଶବ୍ଦାରିବେଳି
ଶବ୍ଦାରିବେଳି କୁକୁମି ଦାଶାରିବେଳି ଏହି ଏହିଦା, ମାଗରାମ ଉପବାଦ
ମାମା ମୋହିନିଦାତ!

— ନେତ୍ରା ଏହି ଏହିଦା, ମାମାମ କାମ ଦାନିନାକାମ ଏହି କାରୀଙ୍କ?—
ଶବ୍ଦାରିବେଳି ଦାଶ ନିକଳାଶମା ମିଳିକ୍ଷେନ ତାଙ୍ଗି ଗାରାଶିରିଦା; ଫୁରିଦଲି
କି, କାମର୍କିଲ୍ଲେଦାପ ଶବ୍ଦାରିବେଳି ଏହିକ୍ଷେନଦା, କାମ ମିଳ ଗାର-
ିଶେମ୍ବ ଅଭିନବ ଏହିକ୍ଷେନଦା, ଏବାଲ ଉପବାଦ ମିଳିବାଦ ପ୍ରସରିବେଳି ଦା ମାମିନ-
ିବ୍ରାମିନିଦାଶା: „ପ୍ରିଯୁନୀଙ୍କ ହେମିବା! ପ୍ରିଯୁନୀଙ୍କ ଉନ୍ଦା ଦାଖମାଲିନି,
ତମର୍କେ ମାମା ଗାରାଶିବେ.“

ନିକଳାଶ ଦା କାରୀଙ୍କ ଦାଖମାଲିନି ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଦା ମାମିନିବ୍ରା-
ମିନିଦାଶ ଏହିକ୍ଷେନଦା ଏହିକ୍ଷେନଦା ଏହିକ୍ଷେନଦା, ଏହିକ୍ଷେନଦା
ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶବ୍ଦାରିବେଳି
ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶବ୍ଦାରିବେଳି ଶବ୍ଦାରିବେଳି.

ମାମା ଉପବାଦ, କାମ ମିଳିନିଦାଶ ଏହିକ୍ଷେନଦା ଏହିକ୍ଷେନଦା, ଫୁରିଦଲି
ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଶେଷଦ୍ଵାରିଦା
ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଶେଷଦ୍ଵାରିଦା ଶେଷଦ୍ଵାରିଦା

ნად. ახლა თითქმის მთელ დღეებს თავის საყვარელ კატეპტებით გადატანილია ატარებდა: ხან დასეირნობდა მასთან ერთად მახლობელ კორ-დებზე, ხან მთებში დადიოდა, ხან რასე აჭმევდა, ხან კიდევ დაუღალავად ჰეხატავდა მის სახეს ყველგან, სადაც კი მოუხერ-ხდებოდა. პირველად ფრიდლის ვერ გამოჰყავდა კარგად სუ-რათები, მაგრამ, რაც მეტს შრომობდა, იძლენად უფრო უვა-რჯიშდებოდა ხელი და სურათებიც უკეთესი, უფრო დასრუ-ლებული გამოდიოდა.

მალე თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით კატის სა-ხეებს, ხან კარცით დახატულს, ხან ნახშირით და ხანაც პირ-და-პირ სილაზე ჩხირით მოხაზულს.

— ეგ რა ამბავია? ვინაა ამ ჩვენს მეზობლებში, რომ, სადაც არა მგონია, კატის სახეებსა ჰეხატავს? — იტყოდა ხოლმე მოხუ-ცი მინდი მეგობრებთან ლაპარაკის დროს: — საკვირველი კო-დევ ისაა, რომ, რაც უფრო უახლოვდები ჩემ სახლს, ნახა-ტებიც უფრო ხშირად მხვდება.

ამის გაგონებაზე ბავშვებს შიშის ქარი აუგარდებოდათ ხოლმე, — ი, ახლავ მიაგნებს მამა ჩვენს საიდუმლო მხატ-ვარსამ.

ბავშვების შიში, საუბედუროდ, მალე გამართლდა და გამხილდა ბევრად უფრო აღრე, ვიდრე თვითონ მოელოდნენ.

ერთ სალამოს ჩვენს პატარა მეგობრებს ქოხის კარგებთან მოეყარათ თავი; ნიკლასი რაღაც სურათს ჰეხატავდა; კატო მის მუშაობას მისჩერებოდა; ფრიდლი-კი სცდილობდა შეეძრწნა თიხით სახე თავის რუხის მეგობრისა, რომელიც იქვე ბალაზ-ზედ იწვა. ამ დროს, საიდანაც იყო, მოულოდნელად გაჩნდა მამა.

— ე—ე ე! ჰედავთ თურმე ვინ გვიხატავს კატებს! — იყვირა მოხუცმა ფეხის ბრახუნით; — ვინ ოხრისაა ეგ რუხი კატა? — როგორც საჭოგადოდ, ახლაც უციროს ბავშვებს ჰქი-თხა მამამ.

— ციცუნდა ჩემია! — მიუგო ფრიდლიმ, რომელსაც ამ



ეამად გადავიწყებოდა მამის შიში და მზად იყო, რამდენიმდე კი შეეძლებოდა, დაეფარა თავისი საყვარელი არსება.

— შენია?! — სთქვა მოხუცმა და ცოტა გაკვირვებით შე-
ჰქედა შვილს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში, მგონი,
პირველად გამოელაპარაკა მამას: — აი, შე ცუდლუტო, შე მუ-
ქთა ხორა! იქნება ფიქრობ, როგორც შენ გარჩენ, კატაც ისე
ვარჩინო? დამაცადე, მე შენ გაჩვენებ, როგორც უნდა კატის
სახის ჯლაბვა, საუა არა მგონი! ახლავ სახლში წაბრძანდი-
კატიანათ და იქ ორივეს გაგისწორებთ ანგარიშს.

ამ ყვირილს შემდეგ, მოხუცი ქოხში შევიდა. დარწმუნე-
ბული იყო, რომ ფრიდლიც უკან გაპყვებოდა; მაგრამ ამ ხა-
ნად მინდს ანგარიში გაუცრუვდა. მხდალი, შეშინებული
ფრიდლი, არამც-თუ, ბრძანებისამებრ, მაშინვე უკან არ გაპყვა-
მამას, არც იმ ღამეს, არც მეორე დილას სახლს არ მიჰკარე-
ბია. კატომ და ნიკლასმა, თუმცა ყოველი ღონისძიება იხმა-
რეს, ვერსად ვერ იპოვნეს ვერც საწყალი თივისი ძმა, ვერც
მისი რუხი მეგობარი. ბოლოს გადასწყვიტეს, უთუოდ სადმე
მთებში დაებნა გზაო და მწარედ სტიროდნენ. მამა თუმცა არ-
სტიროდა, მაგრამ ეტყობოდა, ისიც ძლიერ შეშფოთებული-
იყო შვილის დაკარგვით.

თ ა ვ ი III.



რიდლის დაკარგვის შემდეგ, გავიდა ასე
სამი კვირა. ერთ დღეს იმ გზაზე, რომე-
ლიც მდინარე აპრის მარჯვენა ნაპირს.
ჩასდევს, მიგოგავდა ერთ-ცხენიანი ეტლი,
რომელშიაც მშვენიერი ბედაური ება.
ეტლში იჯდა ერთი მხედარი, მაგრამ
ძლიერ ლამაზი, სასიამოვნო შეხედულო-
ბის ყმაწვილი კაცი. სქელი შავი თმა უკან-

ჰქონდა გადაყრილი და მშვენიერი მაღალი შუბლი მთლიანად უჩანდა; მისი სხვილი ცოცხალი თვალები ჰმოწმობდა ამ ყმა-წვილ კაცის უსაზღვრო გულკეთილობას და მკვირცხლ, არა-ჩვეულებრივ ჭკუას. ტანისამოსის მიხედვით, მდიდარი, არ უნდა ყოფილიყო და, როგორც ეტყობოდა, ძლიერ ცოტას ზრუნავდა ჩაცმა-დახურვისათვის. ტანზე ეცვა საკმაოდ ძველი, სულ უბრალოდ შეკერილი პალტო; თავზედ ეხურა ფართო-კარტუზიანი ქუ ზი, რომელიც ეტყობოდა, დიდი-ხნის ნამსახური უნდა ყოფილიყო.

საღამოს უამი იყო. მზე დასავლეთისკენ იხრებოდა; მისი ჩამავალი სხივები მთების წვერებზე დაცურავდნენ და ვარდისფერ სინათლეს ჰყენდნენ არე-მარეს. ეს მთელ სურათს ისეთს არა-ჩვეულებრივს, მომხიბლავ სახეს აძლევდა, რომ ახალგაზდა მგზავრი უნებურად გირტაცა. მან აღვირს ხელი გაუშვა და ჩაფიქრებით გაიყურებოდა ხან ერთისა და ხან მეორე მხრისაკენ. ამ დროს მისმა ცხენმა, რომელიც ამდენ ხანს დაშვიდებულის იერიშით მიღიოდა, დაიწყო ფრუტუნი და უკან-უკან იხევდა. ყმაწვილი გადმოვიდა ეტლიდან, მითხედ-მოიხედა და ცხენს ხელი გადაუსვა; ეგონა, ცხენი დამშვიდდაო, და ისევ ჩაჯდა ეტლში. მაგრამ მოსტყუვდა: ცხენი არა მშვიდებოდა; რამდენიმე ნაბიჯი რომ გაითარა, უცბად განზე გახტა და გაშეშებულივით გაჩერდა ერთ ალაგს.

— ნეტავ რა მოუვიდა დღეს ამ ჩემ ცხენს? — იფიქრა მგზავრმა. ხელახლად გაღმოხტა ეტლიდან და გარშემო ყველაფერი მიათვალიერ-მოათვალიერა. ბოლოს, გზიდან ათიოდე ნაბიჯზე დაინახა რაღაც საკერველი ახსება, რომელიც მთის კონცხთან მიკრუნჩხულიყო. პირველად ყმაწვილმა კარგად ვერ გაარჩია, რა იყო ეს, მაგრამ, ახლოს რომ მივიდა, თვალწინ წარმოუდგა ბავშვი, რომელიც ორივე ხელით გულში კატას იკრავდა.

ფერმკრთალი, გამხდარი, თმა-გაწეწილი, ჭუჭყან ძონძებ-ზერმკრთალი, გამხდარი, თმა-გაწეწილი, ჭუჭყან ძონძებ-



ში განვეული ბავშვი ისეთი შესაბრალისი სანახავი იყო, რომ უნებურად გული დაგეწოდათ.

— სადაური ხარ, შე საბრალო? — ალექსით ჰკითხა ყმა-წვილმა და მისკენ თავ-დახრილმა დაუწყო ყურება; მაგრამ პასუხის ნაცვლად, ბავშვმა მხოლოდ გულ-ამოსკვნით სლუქუნი დაიწყო.

— საით მიღიხარ? — არ ეშვებოდა ახალგაზღა კაცი.

— იქით, აი, იქით! — ტირილით უბასუხა ბავშვმა და სადღაც შორს ანიშნა ხელით.

— შენი სახლი სად არის?

ამ კითხვაზე საბრალომ მხოლოდ თავი გაიქნია; უთუოდ არ იცოდა, საით იყო იმისი სახლი.

— რა გქვიან?

— ფრიდლი, — წაიჩურჩულა ბავშვმა.

— შენი დედ-მამა სადა სცხოვრობს?

— დედიკა მიწაში ჩაფლეს, მამა-კი სულ გვცემს, საშინალად გვცემს, — მიუგო ფრიდლიმ და კიდევ ატირდა.

ყმაწვილ კაცისთვის ეს რამდენიმე სიტყვაც საკმაო იყო იმის მისახვედრად, რომ ბავშვი ბინილან იყო გამოქცეული ცუდად მოპყრობის გამო.

— უთუოდ გშიან, არა? — თანაგრძნობით განაგრძობდა ყმაწვილი კაცი და თან ფრიდლის არ შორდებოდა.

— დიალ მშიან, ძლიერ მშიან, — წაიჩურჩულა ფრიდლიმ ყმაწვილმა კაცმა გადმოილო ეტლიდან ერთად შეცვეული ორი თუ სამი ნატეხი კარაჯ-წასმული პური, რამდენიმე ნაკერი ძეხვი და ბავშვს მისცა. ფრიდლი ხარბად ეცა საჭმელს, რაღან თრი დღე-და ღამე ხემსი არ აეღო; თუმცა თვითონ ძლიერ მშიერი იყო, მაგრამ თავის კატა მაინც არ ავიწყდებოდა და განუწყვეტლივ უყრიდა პატარ-პატარა პურის ნატეხბებს. მშიერ-ტანჯულის ბავშვის ასეთმა გულ-კეთილობამ და პირუტყვისთვის ზრუნვამ ისე აუჩუყა გული ჩვენს. მგზავრს, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა.



-- ძალიან გიყვარს შენი ციცუნია? — ჰქოთხა მან.

— დიალ, ციცუნია კარგია, ძალიან მიყვარს! — მიუგო ფრიდლიმ და კატა გულში ჩაიკრა.

— წამოდი ჩემთან! — განაგრძობდა ყმაწვილი კაცი, რო-
მელიც მაშინ ცნობილი იყო ყველგან, როგორც ღარიბთა-
მფარველი, სამაგალითო მასწავლებელი და ოღმზრდელი, გვა-
რად პესტალოცი; — წამო ჩემთან; აქ დარჩენა კი არ შეიძლე-
ბა, რადგან მაღლ სულ დაბნელდება.

— ციცუნიასაც ხომ წაიყვან? — ჰქოთხა ფრიდლიმ და თა-
ვისი დიდრონი თვალები უცნობს მიანათა.

— უსათუოდ, უსათუოდ; ციცუნიაც თან წავიყვანოთ,
ჩემო ფრიდლი, — სიცილით მიუგო პენრი პესტალოციმ.

— ოჟ, კეთილო კაცო, კეთილო კაცო! — აღტაცებით
წამოიძახა ფრიდლიმ, სწვდა ხელში პესტალოცის და გულია-
ნად აკოცა ხელზედა.

— ჩემ სახლში იცხოვრებ, — განაგრძობდა პესტალოცი; —
შენის მამის მაგიერი ვიქწები...

— ხომ არა მცემ? — გააწყვეტინა, ბავშვმა და თან, ცო-
ტა ხნის სიჩუმის შემდეგ, დაუმატა: — ფრიდლი თავისთვის
წყნარად იქნება ერთ ადგილის, თავის ციცუნიასთან ერთად.

— არა, ჩემო კარგო, შენ არავინ არა გცემს! — უთხრა
დასამშევიდებლად პესტალოციმ და თავზე ხელი გადუსვა. შემ-
დეგ ფრიდლი თავის კატიანათ ეტოლში ჩაისვა. თვითონაც გვე-
რდზედ მოუჯდა, ცხენს მათრახი შემოჰკრა და ცხენიც მხია-
რულად გაჰქინდა და თან წარიტაცა ფრიდლი შორს, შორს
შშობლების სახლიდან, სადაც მან იმდენი მწუხარება და გაჭი-
რვება გამოიარა.

დ. ავალიანი.


(შემდეგი იქნება).





03.

(ଲେଖିବା ପରିମାଣରେ).



ვავილი ვარ, მაღალ მთის ფერდობზე ამოსული. ირგვლივ მარტყია ხავსით შემოსილი პიტალო კლდენი, რომელთაც საზარლად დაუღიათ პირი და ოვალ-გაშტერებით ჩაიცემორებიან დაბლა უფსკრულში, თითქოს იქ რაღაცას დაექცევნო... თითქოს იქ საუნჯე დაუკარგავთ და ვერ უშოვნიათო... ს.ბრალონი!... მაგათი ღიმილი არ მინახავს ჯერ... სულ-მუდამ გულჩითხრობილნი არიან. რაოც ჯასა სწორებან. რომო-

საც მაგათ მივჩერებივარ ეგრე მწუხარეებს, მეც თავს ობლადა
ვგრძნობ... მეც მწუხარება შემიყრობს ხოლმე.. ვფიქრობ:
თუ ლოდები—ჩემი ღმზრდელნი, ჩემი ძებუს მაწოვებელნი
სტირიან, მით უმეტეს მეც უნდა ვსტიროდე... მაშ, რადა
ვგრძნობ ბედნიერად თავს?.. განა მაგათი სიკვდილი ჩემი სი-
კვდილი არ იქნება?.. განა მაგათ არ მშობეს?.. ფიქრებით
დაქანცული მწარედ ვსტირი ხოლმე... მწუხარების ცრემლები
მცვივა თვალთავან... მაგრამ... დალოცოს ღმერთმა მზე!..
კურთხეულ იყოს მისი სხივები!.. ოქ! როგორ მიტოკავს გუ-
ლი, როცა მზე ამაყად მოცულდება ცის სივრცეზედ... და
დაბერებულ მას სხივთ ჯილას დაადგამს თავსა... გულის
ფანცქალით ველოდები მზის გამაცოცხლებელ სხივებს... მინდა


ბედკრულმა გაცივებულ მკერდში ჩავიკონო მზის სხივები, და
მით ვიგრძნო ბეღნიერება... ვიშ! მიყვარს... მიყვარს ცა-ლაუფა-
რდი, როცა მზის სხივებით წითლად აენთება ხოლმე... აქ ყვა-
ვილოვანი მდელო გაულიმებს და ცრემლ-ქვეშ ობლად შეს-
ცინის!.. იქ ნაკადი ტკბილად მიჩუქრებს, ვერცხლის ჭავლს
მზეზე აბჟყვრიალებს და სიმღერით მიხტის დაბლა ჭალებისა-
კენ!.. ტურფად ყელ-მოღერებული ვარდ-ზამბახი და ბილილა
სიამით ჩასცემიან ნაკადის მოკამკამე ზეირთებს, ეალერსებიან,
ჰკოცნიან და მთრთოლვარე გულზე მარგალიტების ცვარს აბ-
ნევენ... ნაკადული თავზე ევლება... ზრუნავს მათ სიცოცხლი-
სათვის! მაღალ მთიღგან დაუდგრომლად მიტომ რბის, რომ
სიცხისაგან გულ-შეწუხებულ და ფოთლებ გაყვითლებულ ბა-
ლახებს უკვდავების ცვრებად დაეფრქვიოს, გააცოცხლოს!..

ღმერთმა ეგეც აკურთხოს!.. რამდენჯერ სიცხით გულ-
შეწუხებულს სიკვდილის მწარე ფიქრები შემიპყრობდა ხოლ-
მე, მეგონა,— ეს არის ვკვდები მეთქი... ამ დროს ნაკადული
ჩიმოირბენდა იქავე შორი ახლოს და მაიმედებდა: - იავ, ბეღ-
კრულო! რამ დაგალონა?.. რა გატირებს?.. სანამ არა ვარ
გამშრალი, ვერც სიცხე და ვერც გვალვა ვერას დაგაკლებს!
და მეც მიხაროდა!.. უსახლვორ იყო ჩემი სიხარული!.. მაშინ
ცაც და ქვეყანაც ჩემი მეგონა...

მიყვარს... მიყვარს მოკამკამე ნაკადული...
მიყვარს მზის სხივები!
ვიშ! ვიშ! ნეტავი მე!..


ვ. გორგაძე.





დაჭით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი.

დიდი მოაგაზის გარდა- ცვალება.



მ უამაღ მთელი ჩვენი ქვეყანა ღრმა მწუხარებით
ჰგლოვობს დავით ზაქარიას ძეს სარაჯიშვილის
გარდაცვალებასა. ჰგლოვობენ ყველა ქართველნი
შავის ზღვიდან დაწყებული დაღისტნის მთებამდე და კავკასი-
ის ქედიდან სომხეთის მთებამდე. რამ გამოიწვია ეს საყოველ-
თაო გლოვა? იქნება განსვენებული იყო ბრწყინვალე და გავ-
ლენიანი თავადიშვილი? არა, იგი იყო უბრალო თბილელ
მოქალაქის შვილი. იქნება მისი გული აჭრელებული იყო დი-

დის ჩინებითა და ორდენებითა? კიდევ არა. არც ერთი პირი არ გვიცის არა მეტანი და არც ერთი ორდენი არ ჰქიდებია ყულზე, ან გულზე. და საიდგან მიიღებდა ჩინებსა და ორდენებსა, როდესაც ოფიციალურს სამსახურზე იგი მეტად შორს იდგა და არც ერთი დღე არ შეუწირავს ჩინოვნიკურის ერთგულობისათვის.


მაშ, რითი დაიმსახურა განსვენებულმა დავითმა საყოველთაო პატივისკემა და სიყვარული. რითი? აი რითი: ყმა-წვილობიდან გულში ღრმად ჩაენერგა სამსახური თავისის ქვეყნისა, მისი სიკეთე, მისი შვება და ლხენა, მისი ჭირვარმის შემცირება და მოსპობა. დავითი კარგად ჰერძნობდა, რომ ქვეყნის სამსახურისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა საფუძვლიანი განათლება, მრავალ-გვარი ცოდნა. ეს ცოდნა თავისს სამშობლო თბილისში შეიძინა, მერე განაგრძო მისი შეძენა რუსეთში და ბოლოს დაამთავრა ევროპაში, გერმანიაში. საფუძვლიანად მომზადებული, დაბრუნდა თავისს სამშობლოში, შეუდგა იმისთანა დარგს წარმოებისას, რომელიც იძლევა მეტს მოგებასა და შეძლებას აძლევს მწარმოებელს მეტი შემწეობა და დახმარება გაუწიოს სამშობლო ქვეყანასა. განსვენებულმა დაარსა ქარხნები და საუკეთესო საქონელს ამზადებდა, რის გამო მისი ნაწარმოები სხვების ნაწარმოებზე მეტი იყიდებოდა. ამასთან თავისს მუშებს მეტს ჯამაგირს აძლევდა, ვიდრე სხვები, რის გამოც ეს მუშები მისი მადლიერნი იყვნენ და ერთგულად ემსახურებოდნენ. თვითონაც გამრჯელობასა და მხენვბას დაულალავად ეწეოდა. ასეთი მწარმოებელი ყველგან გამდიდრებული და დავითიც გამდიდრდა. ის პატარა თანხა, რომელიც მამისაგან დარჩა, კი არ გაფლანგა, სხვებივით, თან-და-თან გაზარდა და ბოლოს მილიოს ნებად აქცია. ხოლო ამ მილიონებს თავისთვის-კი არ ხარჯავდა, არამედ ქვეყანას ახმარებდა, დაარსა მრავალი სტიპენდია, აძლევდა ყოველ-წლიურ შემწეობას იმათ, ვისაც სწადდა



მაღალი განათლება მიეღო და ნივთიერი შეძლება-კიანური მწერა
ბას არ აძლევდა; დაუნიშნა ყოველ-წლიური შემწეობა ღარიბ
სკოლებსა, რომელთაც დახმარება ძლიერ უჭირდათ, ხელს
უმართავდა ბევრს განათლებულს ქართველს, რომელიც უბე-
დურ შემთხვევის გამო გაჭირებაში ვარდებოდა და სხ. რო-
გორც გამოქვეყნებულ ანდერძის წერილიდანა სჩანს, განსვე-
ნებულს დავითს თავისი დიდი ქონება თითქმის მთლად, საქვე-
წნო საქმეებისათვის უანდერძებია.

ულმობელს სიკვდილს უნდოდა დავითის სახელოვანი სი-
ცოცხლე დაემცირებინა; მაგრამ მან თავის ანდერძით სიკვ-
დილი დათრგუნა და ბრწყინვალე შარავანდედით შეიმოსა.
დათრგუნა მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ ამისთანა სიცოცხლე
და გარდაცვალება უკვდავს, დაუვიწყარს სახელს ანიჭებს
საქართველოს ყოველს შვილს მთელის ჩერნის ერის ხსოვნაში.
ეს ხომ უდიდესი ჯილდოა ყველასთვის ამ სოფელში.

იაკობ გოგებაშვილი.





მოვარის სონატა ბეტჰოვენის*).

(გერმანულით)



ს მოქხდა ბონნაში. ერთს მთვარიან გაზაფხულის საღამოს ბეტჰოვენს ვეწვიე მსურდა მესეირნა მასთან ერთად და მერე ჩემთან წამეყვანა. ბნელ, ვიწრო ქუჩაში მივდიოდით, როდესაც ბეტჰოვენი უეცრად შეჩერდა.

— დაიცადე — სოქვა — ეს რა ხმებია? ვიღეცა ჩემს სონატას უკრავს და მერე რა კარგად!

ჩვენ ვიდექით პატარა ღარიბ სახლის

*) ბეტჰოვენი იყო დიდებული გერმანელი მემუსიკი და კომპოზიტორი.



წინ და აღტაცებით ვისმენდით. ცოტა ხანს შემდეგ უკავშირდება
კა უეცრად შესწყდა და მოგვესმა თავ-დაჭრილი ქვითინი..

— მეტი აღარ შემიძლიან, — გვესმოდა ვიღაც უცნობის-
ხმა: — მეტად მშვენიერია! ვგრძნობ კარგად, რომ ისე არ უკ-
რავ ამ დიდებულ სონატას, როგორც შეჰვერის. ოჯ! როგორ-
შწყურიან მისი მოსმენა რომელისამე ნამდვილ, დიდ მემუსი-
კეს მიერ დაკრული.

— გაჩუმდი, დაო, — მოგვესმა ახლა ხმა მეორესი: — რად-
ოცნებობ შეუძლებელსა? რჩენითაც-კი ძლივს ვირჩენთ თავს..

— ვიცი, ვიცი. მაგრამ ერთხელ მაინც როდისმე, მხო-
ლოდ ერთხელ, რომ გამეგონა ჩემს სიცოცხლეში ნამდვილი-
მუსიკა!..

— შევიდეთ, — სოქვა ბეტჰოვენმა და ხმა აუთრთოლდა..

— შევიდეთ? რისოდეს?

— მინდა დაუკრა, — მიპასუხა: — აქ გაიგებენ ჩემს გულის
პასუხს, ვგრძნობ.

შეალო კარი და შევედით ოთახში. მაგიდასთან იჯდა-
ახალგაზდა კაცი; ხელში ძველი ჩექმა ეჭირა და აახლებდა. ძველებურ როიალის წინ, კლავიშებზედ იდაყვ-დაყრდნობილი,
იჯდა ახალგაზდა ქალი, მშვენიერ ფერფლის ფერ თმებიანი,
რომლებიც მხრებზე გადმოჰფენოდა.

— ბოდიშს ვიხდი, — სოქვა ბეტჰოვენმა — აქ მუსიკის ხმა-
გავიგონე და ჩვენც შემოვედით, მეც მემუსიკე ვარ.

ახალგაზდა ქალი შეკრთა, კაცმა-კი მტრულის და გაჯა-
ვრებულის სახით გადმოგვხედა.

— ყური მოვკარ თქვენს საუბარს, — განაგრძო ჩემმა
მეგობარმა: — მუსიკის მოსმენა გსურთ, მე... მე დაუკრავ
რასმე.

ჩვენ, მოულოდნელი სტუმრობა სწორედ რომ უცნაური
რამ იყო და ღარიბ სახლის პატრონს, ეტყობოდა, ჩვენი თა-
ვიდან მოშორება სურდა.



— დიდად მაღლობელნი ვართ, — სოქვა: — მაგრამ ჩეციდ
შაკრავი მეტად ცუდია, და არც ნოტები გვაქვს.

— ნოტები არა გაქვთ? — გაიმეორა ბეტჰოვენმა — მაშ,
როგორ უკრავთ?

შევხედეთ ახალგაზდა ქალს და მხოლოდ ახლა შევამჩნი-
ეთ, რომ უსინათლო იყო.

— მომიტევეთ, არ ვიცოდი, — სოქვა, — მაგრამ სად გაგი-
ვონიათ ის, რასაც თქვენ ეს-ეს არის უკრავდით?

ჩეცის ახლოს, რამდენისამე წინად, სკხოვრობდა
ერთი ქალი, რომელიც ძალიან კარგად უკრავდა. ზაფხულსა
და გაზაფხულზედ, როცა მისის სახლის ფანჯრები ღია იყო,
ხშირად ვსეირნობდი ახლო-მახლო და ბევრს ხმას ვიხსმებდი.

ბეტჰოვენს არაფერი უპასუხნია; ხმა ამოულებლივ მიუჯ-
და როიალს და დაუკრა. გაისმა თუ არა პირველი ხმები, უკ-
ვე მივხვდი, რა უნდა მოჰყოლოდა. არასდროს, არც ჩემს
ახალგაზდობაში, არც მერე, როცა მოგხუცდი, არ მლირსებია
ასეთის მუსიკის მოსმენა.

არასდროს არეის წინ არ დაუკრავს ბეტჰოვენს ისეთის
ზეგარდო ნიჭით, როგორც იმ საღამოს, ღარიბ ხარაზის და
მის უსინათლო დის სადგურში. თვით ხმაც-კი ძველებურ სა-
კრავისა თითქოს სრულებით განახლდა: ისეთი სინაზე, ღრმა
გრძნობა და რაღაც დიდებულობა ისმოდა.

და-მანი გაჩუმებულნი იყვნენ, სულ-განაბულნი, სავსენი
აღტაცებითა და განცვიფრებითა. მმამ თავასი საქმე მიატოვა.
და-კი იდგა საკრავთან, სმენად გადაქცეული, და გულზე ხე-
ლი მიეჭირებინა, თითქო ეშინოდა, მის გულის ფრიალს
არ დაერღვია საკვირველ ხმების ჰარმონია.

ერთად ერთმა სანთელმა, რომელიც ოთახს ანათებდა,
უეცრად იფეთქა, მისი აღი აპარატიდა და ჩატქრა. ბეტჰოვენს
მა გაათავა დაკვრა; მე-კი გავაღე დარჩები და მთვარის შუქი
ტალღასავით შემოცურდა ოთახში და ნათელი მოჰყინა იქაურო-
ბას, დაძველებული როიალი და დიდებული მემუსიკე ცხადად



გამოჩნდნენ ბნელ კუთხეში. მემუსიკეს თავი ძირსა ჰქონდა დახრილი; ხელები გაუნდრევლად ედო მუხლებზედ; სხანდა, რაღაც ღრმა ფიქრებს მისცემოდა. ასე გავიდა რამდენიმე წამი. ახალგაზდა კაცი წამოდგა ზეზე და მივიდა ბეტჰოვენთან.

— საუცხოვოა! — წყნარად და ნელის ხმით წარმოსოქვა, — ვინა ბრძანდებით? საიდან?

— ყური დაუგდეთ, — ასევე წყნარად, პასუხის მაგიერ-სთქვა ბეტჰოვენმა და დაუკრა ის სონატა, რომელსაც ამას წინად უკრავდა ახალგაზდა ქალი. ორთავეს უნებლიერ წა-მოსცდა აღტაცების ძახილი: და-ძმანი მივარდნენ ბეტჰოვენს და დაუწყეს კოცნა ხელებზე და ზედ აღტაცების ცრემლებს აფრქვევდნენ.

— გიცანით, — ბეტჰოვენი ბძანდებით! — იმეორებდა ორივე.

ბეტჰოვენი ადგა და წასვლას აპირებდა, მაგრამ და-ძმამ შეაჩერეს.

— კიდევ დაუკარათ რამე, მხოლოდ ერთხელ კიდევ... ერთხელ.

ბეტჰოვენი დასთანხმდა და ისევ დაჯდა როიალთან.

წინანდებურად წყნარად აშუქებდა მთვარე და ანათებდა. ბეტჰოვენის მედიდურ თავსა და მის მძლავრ და პატიოსან ტანაღობას.

— მსურს ახალი რამე შევქმნა, — სთქვა კომპოზიტორმა: დავწერო ახალი სონატა და მიუძღვნა მთვარის შუქს. — გაი-ცეირებოდა ფანჯარაში და შეპყურებდა ცას, რომელზედაც მისცურავდა ბადრი მთვარე და ციმციმებდნენ შორეული ვარსკვლავნი. მემუსიკემ დაპკრა თითები კლავიშებს და ძველმა-საკრავმა იწყო ნაზ და დიდებულ ხმების გამოღება; ეს ხმები ადიოდნენ ზეცად და ავსებდნენ ოთახს, როგორც მთვარის შუ-ქი ავსებდა მიძინებულ ბუნებას. მათ მოჰყენენ სწრაფი და სა-მხიარულო ხმები, სიცოცხლითა და მხიარულებით სავსე — თი-თქო ფერიათა ცეკვაა გრძნეულ, მოჯადოებულ მინდორზეო-

მერე მოჰყვა დასასრული, აღსავსე შეუგნებელ გულის ფუძი
თა, რაღაც უცნაურ გაუგებარ შიშით. მუსიკამ გაგვიტაცა
სადღაც თავის მძლავრ ფრთებით და დაგვტოვა განცვიფრე-
ბულნი, გულ-აჩვილებულნი.

— ნახვამდის! — წარმოსთქვა ბეტჰოვენმა, გასწია რა სკამი,
და კარისკენ გაეჭანა, — მშვიდობით!

— ხომ კიდევ მობძანდებით როდისმე? — ჰკითხეს და-ძმამ
ერთხმად. მაესტრო შეჩერდა, შეპხედა უსინათლო ქალს ნაზის,
შებრალების გამომხატველ სახით.

— დიალ, დიალ, — აჩქარებით უპასუხა; — კიდევ მოვალ და
რამდენსამე გასაკვეთს გაგიკვეთთ; მოვალ, უსაოუოდ მოვალ...

წავედით...

— ახლა სახლში უნდა გავწიო, — სთქვა ბეტჰოვენმა. —
უნდა დავწერო ჩემი მთვარის სონატა, სანამ ჯერ ისევ ყურებ-
ში მიდგა.

სწერდა მთელ ღამეს და მეორე დილასაც.

ასე დაიბადა მთვარის სონატა, რომელსაც ყველანი აღტა-
ცებაში მოვყავართ და რომლითაც ინეტარებს მთელი კაცო-
ბრიობა, ვიდრე ქვეყანა არსებობს.

ვახტანგ ერისთავი.





გავუვის მსხვერპლი.

(ისტორიული ამბავი პოტიჟი)

1515 წლის თიბათვის ერთ მშვენიერ, მრვარის შუქით მტრედის ფრად გაკაშკაშებულ ღამეს პოლიციის სამი მოხელე ათვალიერებდა სენტის პატარა ქალაქს წესიერების დასაცველად. დინჯად დადიოდნენ ისინი მიყრუებულ ქუჩებში და ერთი უბნის განაპირა სახლის წინ იმათი ყურადღება მიიჭია რაღაც უცნაურმა სანახაობამ. შეჩერდნენ სახლთან, შეიხედეს ოთახში შუშებიან კარებიდან და დაინახეს გალუდლუდებულ ცეცხლა-პირას ერთი კაცი, რომელიც გულმოლგინედ ზელდა თიხას და მის გარშემო ეყარა სხვა და სხვა ნაირ ჭურჭლის ნამტვრევები.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა ახალგაზდა მცველმა, რომელიც ახალი მოსული იყო სენტში.

— ვიღაც გადარეულია და თავს იმითი იქცევს, რომ ვითომ ჭურჭელს აკეთებს, სწვავს ქურაში და მერე ისევ ამ-ტვრევს, — მიუგო ერთმა ამხანაგმა.

— იქნება კულიანიც არის? — დაუმატა მეორემ.

— შეიძლება მეცნიერიც იყვეს, — წაიჩურჩულა ჩაფიქრებით უფროსმა მცველმა.

ამხანაგმა გულ-გრილად შეიშმუშნეს მხრები და, რაღაც საქმე არა ჰქონდათ რა, ღამე კი წყნარი და სასიამოვნო იყო, სამივენი გაჩერდნენ სარკმელთან და დაუწყეს ცქერა იმ კაცს.

ოთახში მომუშავემ გამოალო ღუმელის კარი, დიდის სიფ-

თხილით გამოიღო გამომწვარი ჭურჭელი და გულმოდველი უკანონობა
გაშინჯა ლამპრის შუქზედ; სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა,
დაანარცხა იატაკზე ჭურჭელი და ფეხის დაკვრით დაანამცეცა...

ამასობაში ღუმელში ცეცხლიც განვლდა; მოძუშვერ მი-
უჩატა ერთი ღერი და დაუწყო კიდევ ძებნა შეშას, მაგრამ,
რადგანაც მეტი აღარ მოვპოვებოდა, წამოავლო ხელი ცულს,
დაუშინა მაგიდასა და სკამს, აჩე-დაჩება და შეუძახა ღუ-
მელში...

ამ დროს მეორე ოთახიდან გამოვიდა ფეხშიშველა და
პერანგის ანაბაზა სამი ბავშვი; კაცმა ტკბილად დაუწყო იმათ
კოცნა და ალერსიანად რაღაც უსაყველურა; ბავშვებმა ხელი
მოჰკიდეს კაცს და მეორე ოთახში უნდა გაეყვანათ, ალბად,
დასაძინებლად; მაგრამ არ დაემორჩილა, ანიშნა დამსხვრეული
ჭურჭელი, თვალებიდან ცრემლები გადმოჰყარა და უღონნოდ
ძირს დაეშვა. ბავშვები რომ გავიდნენ, კაცი მიეყრდნო თავით
კედელს და მწარედ ტირილი დაიწყო...

— სწორედ გადარეულია ეს კაცი! — სთქვა ერთმა და-
რაჯმა.

— ან გადარეულია და ან ჯადო-ქარი, — დაუშატა მეო-
რემ; მესამე კი, უმცროსი, ჩაფიქრებულიყო და ხმას არ იღებდა.

ცნობის მოყვარულ მცველებს მოსწყინდათ იქ ყოფნა და
წავიდნენ.

„გადარეულად“ ან „ჯადო-ქარი“ წოდებული კაცი იყო
ბერნარ პოლისი. ურომის მოყვარე და მომამენი ოსტატი. ბერ-
ნარი სცდილობდა აღმოეჩინა საიდუმლოება ქაშანურისა, ე.
ი. იმ ელვარე ვარაყისა, რომელსაც აკავენ გარედან და ამ-
შვენიერებენ ჭურჭელს. ეს ხელობა ახალი შემოღებული იყო
იმ უამად იტალიაში და დიდ შემოსავალსაც იძლეოდა.

მზე ჩავიდა და ბერნარ პოლისის ღუშელის მილიდან ისევ
კომლი იმოდიოდა. მთელი ღამე მუშაობაში გაატარა ჭურის
წინ, ერთ წამს თვალი არ მოუხუჭვის...

განთიადისას, უძილობითა და ცეცხლის წინ ტრიალით დაღალულ-დაქანცულს, ქუჩიდან რაღაც არა ჩვეულებრივი ხმაურობა შემოესმა და ყური მიუგდო: მეზობლის სახლიდან მრისხანე საყველურისა და მუქარის ხმა გაიგონა:

— რა უბედურობა და ღვთის წყრომაა! სამი იხვი ზედი-ზედ დამეხოცა! ეს სულ ამ კუდიანის ონებია! — წიკვინებდა ვიღაც გააფთრებული დედაკაცი, რომელსაც ხელში დახოცი-ლი იხვები ეჭირა. დედაკაცი შეჩერდა პოლისსის სახლ-წინა და მუშტ-მოლერებულმა დაუყვირა:

— არ შეგარჩენ, კუდიანო, ჯადო-ქარო, ამ ჩემ ზარალს! ეს ამბავი სრულიად საკმარისი იყო, რომ მთელი მეზობ-ლობა ფეხზე დამდგარიყო და ყველას თავიანთი უკმაყოფილე-ბა გამოეცხადებინა.

ბერნარ პოლისსი ყველას ეჯავრებოდა: ვერავის ვერ გა-ეგო, რა მოხელე კაცი იყო და იმიტომ ეჭვის თვალით უყუ-რებდნენ იმ საიდუმლოებას, რომლითაც გარემოცული იყო მისი ცხოვრება და მოქმედება. ეს მუდამ გაუნელებელი ციც-ლი, ეს გამოულეველი, ბურუსივით მოდებული შავი კომლი რაღაც ცრუ მორწმუნოების შიშა ჰბადავდა მეზობლების თვალ-სა და გულში. იმ კაცისა ეშინოდათ, ის კაცი გრძნეულად მიაჩნდათ, თვალო-მაქცობას სწამებდნენ და ამიტომ ხალხის აღელვება უკიდურეს ხარისხამდე მივიდა: დაუშინეს ქვები ფანჯრებს და შეუმტვრიეს კარები. ერთი ვიღაც გათამამებუ-ლი ეძერა ბერნარ პოლისს, გამოათრია ქუჩაში, შეაგდო ხალხ-ში ქისტის კვრით და დაიყვირა:

— აი, ჩვენი გიუი, აი, ჩვენი კუდიანი, ჯადო-ქარი! წა-ათრიეთ მოსამართლესთან!..

ბერნარი გაფითრდა, რადგანაც არ იცოდა, გაიმართლებ-და თუ არა თავს საიდუმლოების გამოუქმედავნებლად. აბობოქ-რებულ ხალხის გროვა კი გარს ეხვია მუშას და საკოდავმა კაცმა აღარ იცოდა, რა ექნა, თავი როგორ დაელწია!..

— ბატონებო, გევედრებით, რომ სიტყვის ნება მომცურ, შესძახა ბერნარმა ხალხს.

— ყური მიგდეთ!.. მე არ შემიძლიან ჯერ-ჯერობით გა-
ვიმხილოთ ჩემი საიდუმლო მოქმედება, მაგრამ ორის კვირის
შემდეგ მოგიწვევთ ყველას დაგანახვებთ ჩემს ხელობას!

— უკეთუ ამ ვადის შემდეგ ვერ შევიძელ გიჩვენოთ მშვე-
ნიერი ჭურჭელი, შედევი ჩემის ხელოვნებისა, მაშინ გჯეროდეთ
ჩემი გრძნეულება, ჯადო-ქრობა, სიგიჟე და მიმეცით სამარ-
თალში; გფოცებით, რომ მე თვითონ დაგნებდებით უარის
უთქმელად!

ეს სიტყვები ისე გულწრფელად და ისეთის ველრების კი-
ლოთი გაისმა, რომ ხალხის ბრძო მყისვე გამოერკვა, გჩუმ-
და, ჩამოეცალა და პოლისი თავისუფლად შებრუნდა შინ.

ბრძო გაიყო გუნდ-გუნდად; რამდენსამე ხანს კიდევ გა-
ნაგრძეს ყბედობა, მითქმა-მოთქმა და ბოლოს ყველანი წავიდ-
წამოვიღნენ.

ბერნარ პოლისის მხოლოდ ორის კვირის ვადა ითხოვა-
რა დიდი შეცდომა და წინ-დაუხედაობა მოუვიდა! საიდუმ-
ლო, რომელსაც იყვლევდა, ჯერაც არ ემორჩილებოდა
განსახორციელებლად!.. გარდა ამისა, აღარ ჰქონდა აღარც
შეშა და აღარც ფული შეშის სასყიდლად... ბერნარი დაგ-
ლახავდა, დაბერავდა; გახდა ყბაღალებული, ოჯახობისაგან
მასხარად აგდებული, ცოლისაგან ათვალწუნებული და გათახ-
სირებული!..

მისი მანუგე შებელი შხოლოდ პაწაწა სამი შვილი-და იყო,
რომლებიც მამას აღმერთებდნენ: სწუხდნენ და სტიროდნენ,
როდესაც მამის თვალებზე ცრემლებს ჰქონდნენ; მთელი დღე-
ები განუშორებლად თავს დასტრიალებდნენ გაჩაღებულ ჭუ-
რის წინ, თვალ-წარბში შესცემოდნენ და სულ მის გვერდით
თამაშობდნენ სხვა და სხვა სათამაშოებით, რომლებიც დარჩე-
ნოდათ იმ დროიდან, როდესაც იმათი ოჯახი კარგ მდგომა-
რეობაში იყო.



მ რ მ ა რ ე ბ ი
შ ი ბ უ ლ ი ბ ი

პატარა გოგონას ჰქონდა ხის ლამაზი თოჯინზ, ჟალება—
აბრეშუმეულობით მორთული; იმის ძმებს—დიდი კოშკი და—
რაზმული ჯარის კაცებით და ოთხ-კუთხედებით სავსე ყუთი,
რომლებითაც უზარ-მაზარი შენობა აიგებოდა.

ცამეტი დღე უკვე გავიდა და ბერნარს ჯერაც ვერ აღ—
მოეჩინა ქაშანურის მომზადების საიდუმლო; ოჯახი საში—
ნელ გაჭირვებას განიციდა: ხშირად დღიური ლუკმაც აღარ
მოეპოვებოდათ და ფულის ხსენება ხომ დიდი ხანია აღარ იყო.

პოლისიმ ღუმელს ბოლოს თავისი საწოლის დარჩენილი
ნამტვრევებიც შეუკეთა,—ოჯახის სხვა ყოველივე ავეჯი რამ—
დენი ხანია ამ ღუმელშივე ჩაიწვა. — მაგრამ იმედი კიდევ არ
დაჰკარგოდა: რაღაც წინადგრძნობა ჩასიჩინებდა, რომ უკა—
ნასკნელი ჭურჭელი, რომელიც ის იყო შესდგა ქურაში, უთუ—
ოდ სასურველს სახეს მიიღებდა; ყველა წარსული ცდა უნერ—
ვავდა გულში რწმენას, რომ მივაგნე ბოლოს იმ საიდუმლო—
ებას, რომელიც ისეთს ლაზათსა და სიმშენიერეს აძლევს
იტალიურ ხელოვნებასაო!

შეკირკიტებდა ბერნარი გავარვარებულ ქურას და თვალს
აღარ აშორებდა: ეს იყო უკანასკნელი ბრძოლა, რომელსაც
მოჰყვებოდა: სახელი, დიდება, სიმღიდრე, ან განადგურება,
სიღატაკე, სირცხვილი, სამართალი და, იქნება, კოცონიც,
რადგანაც იმ დროს აღგზნებულ ცეცხლში სწვავანენ გრძნეუ—
ლად მიჩნეულს!

ბერნარმა გადაპხედა შვილებს, რომლებიც უდარდელად
თამაშობდნენ თაბახის ბოლოში, და იმათ დანახვაზედ კიდევ
უფრო იგრძნო რწმენისა და ენერგიის მომატება.

ცეცხლი ისევ გუზგუზებდა, მაგრამ ცოტა-ცოტათი კლე—
ბულობდა და ბერნარს მოუსვენრობით სული ეხუთებოდა, გუ—
ლი ელეოდა!.. ბოლოს მივიდა ქურასთან, გამოაღო კარი
ფთხილად, მაგრამ სასოწარკვეთილებით შეპბლავლა, დაეცა ძირს
და ქვითინი დაიწყო: შეშა გამოლეულიყო, ცეცხლი ბეუტავდა
და ქურას ოდნავ-ლა ათბობდა!

— მამილო, მამილო! საყვარელო მამილო! — შეჰყაჩარებული შვილებმა, მისცვივდნენ და დაუწყეს ხვევნა-კოცნა.

— რათა ტირი, ჩემო მამილო?! ჰკითხა გოგონამ.

ხმა ჩაწყვეტილმა მამამ ძლივს წაილულლულა:

— შეშა აღარა მაქვს და ღუმელი ახლავე ჩაქრება; ჭურჭლისთვის კი საჭიროა ცეცხლი კიდევ რამდენსამე წამს!

გოგონა მოშორდა მამას და მალე ისევ მოირბინა ღუმელთან.


— შენ ამბობ, მამილო, შეშა აღარა მაქვსო! ი, შეშა — უთხრა და შეაგდო ღუმელში თავისი მშვენიერი თოჯინა... ცეცხლის ალი ფიცხლავ მოედო იმის ტანისამოსს და მერე ტანს. ძმებმა რომ ეს დარჩახს, მიპახეს დის მაგალითს და რამდენსამე წამს შემდეგ მოზიდეს ყველა სათმაშოები ძველი თუ ახლები, საყვარელი თუ მოძულებული, დაახორავს და უმარჯვებდნენ ნელ-ნელა ქურას. ალი თან და თან ძლიერდებოდა...

ბოლოს ბერნარ პოლისიმ გამოილო ქურიდან ჭურჭელი და სიხარულით ცას დაეწია: იმის ჭურჭელს გადაპკროდა მშვენიერი მინანქარი და სილამზითა და მოელვარე პეტით იტალიურ უმშვენიერეს ჭურჭელს არ ჩამორჩებოდა...

მას შემდეგ მეზოღლები არა თუ აღარ ფიქრობდნენ ბერნარ პოლისი მოსამართლის ხელში ჩაეგდოთ, არამედ აღტაცებულნი იყვნენ იმის შრომით, მხნეობით და მოთმინებით.

მეფემ უხვად დააჯილდოვა პოლისი, რომელმაც ხელოვანის ოსტატობით შეიძინა დიდი სახელი და სიმდიდრე.

თეო კანდელაკი.





ნარევი



ვენში არ მოიპოვება იმისთანა ცოტათი მაინც შეძლებული ოჯახი, რომ მოსამსახურე არ ჰყავდეს. მსურველი მოსამსახურედ დადგომისა მრავალია და ვინ არ მოინდომებს იყიდოს იაფად სხვისი შრომა და თითონ დაისვენოს და იქიფოს. სულ სხვა ამბავია თურმე ამ უამად ამერიკაში. იქაურ გაზეთებში სწერენ, რომ ამერიკაში ლამის მოისპოს შინა მოსამსახურეებით. იქაურმა დემოკრატულმა ცხოვრებამ იმ ნაირი ზე შეიტანა ხალხში, რომ მდაბიონიც-კი სამარცხვინოდ სთვლიან მოსამსახურედ დადგომას, და თუ მაინც იძულებულია დადგეს მოსამსახურედ, დიდ სასყიდელს თხოულობს, მაგალითად: ხელზე მოსამსახურე გოგო 80—100 მან., მზარეული დედაკაცი 100—150 მან., ლაქია 150—300 მანეთა მდის და შეტაც! მოსამსახურენი რჩეობენ განსაზღვრულ დროს იმუშაონ ოჯახში, რამდენიმე საათი და ამავე დროს სხვა-და-სხვა პირობებს ურდგენენ ბატონებს, მაგალითად: კვირა-უქმე დღეებში დანიშნულ საათზე უფლება ეძლეოდეთ თვითი სტუმრებიც მიიღონ ბატონების სასტუმრო დარბაზში, იმათ როიალზე დაუკრან და სხ. ამგვარები.




მერიკაში სკოლის მოწაფენი ვალდებულნი არიან პირობა დასდევან, რომ არ გააფუჭებენ და არ გაჰქილავენ ყვავილებს, არ დაამტვრევენ ხეებს, იატაკსა და ტროტუარებზე, არ გადააფურთხებენ, არ გასთხუპნიან მესრებს, ბაღებში და სასეირნო ადგილებში არ გადაჰყრიან ქალალდების ნაჭრებს, პირ-იქით, პატივის-ცემით მოეპყრობიან სხვის საკუთრებას, დაიცვენ ფრინველებსა და ცხოველებს და ყოველთვის ზრდილობიანი და გულ-კეთილნი იქნებიან, რათა კარგნი და პატივისანი მოქალაქენი გამოვიდნენ.



შინდელ დროს ჩვენში ადამიანისათვის, პატივის-ცემის მაგიერ, ფული რომ შეგეთავაზნათ, ძალიან ეწყინებოდა და შეურაცხყოფად მიიჩნევდა. ახლა-კი სულ სხვას ვხედავთ. ქალაქის სასტუმროს მსახურებს თავი დავანებოთ, სოფელშიაც-კი გაიგონებთ, „ნაჩაი“ მომეციო. ყველანი, უფრო-კი ახალგაზრდები გრძნობენ რაღაც დამამცირებელ საქციელს მიმცემის და მიმღების მხრითაც, მაგრამ, ჩვენში-კი არა, ევროპაშიაც, სადაც კიდევ უფრო მეტად არის განვითარებული საჩუქრის იღება, ჯერ არავინ ამხედრებულა ამის წინააღმდეგ. მხოლოდ ამერიკაში კანადის პარლამენტში—შეუტანიათ ახალი კანონ-პროექტი, რომ ეს „ნაჩაი“ ს საჩუქარი მოისპოს, რადგანაც ცუდი გავლენა აქვს და რყვნის ადამიანს დაუმსახურებელ ს.ჩუქარით. ვინც აჩუქებს, დაისჯება: ან ციხეში დატუსალებით ორს თვეს, ან 200 დოლარს (ოთხას მანეთამდე) ჯარიმას გადახდევინებენ.

6. 6.





ზღვის სიმდიდრე.

(შემდეგი).



არგალიტის ნიჟარა თავის სხეულში
ამზადებს კირს და ეს კირი ჰეონავს
მის სხეულიდან თანდათანბით, მე-
ტად თხელ-თხელ და სწორ ფენებად-
ეს ფენები აფერადებულია სინათლე-
ზედ ცისარტყელასავით, ისე, როგორც საპნის ბუშტის კანი,
ან ნავთი, წყალზედ გაკრული.

ამ ნაირად ახლა გავიგეთ, რა არის სადაფი, როგორ
ჩნდება, რისაგან შესდგება და რად არის ასე ლამაზი. რა უნ-
და იყოს მარგალიტი? რისაგან შესდგება და როგორ მზადდე-
ბა? მარგალიტს აკეთებენ იგივე ლორწოიანი ცხოველები, მა-
რგალიტის ნიჟარები, რომელნიც გვაძლევენ სადაფს. ზოგიერთ

მარგალატის ნიუარაში, შიგნით პოულობენ მშვენიერ ჰა-
ტარა მარცვალს. ეს მარცვალი ხშირად რძესავით თეთრია
და ოდავ ელვარებს ცისარტყელასავით, მარამ ხანდახან შე-
ხვდებათ ვარდისფერი, წითელი, შავი და მწვანე მარცვალიც.
უმეტეს ნაწილად ეს მარცვლები მანტიასა და ხოჭოს (ნიუა-
რას) შეაა. ამ მარცვლებს ეძახიან მარგალიტის. მარგალიტიც
ისევე შესდგება კირის თხელ ფენებისაგან, როგორც ჰხედავთ,
მხოლოდ მარგალიტი ბევრად ნაზი და მშვენიერია, ვიდრე
სადაფი.

ყველა მარგალიტის ნიუარაში როდი მოიპოვება მარგა-
ლიტი. ხანდახან შეძლება გადასინჯონ რამდენიმე ათეული
მარგალიტის ნიუარა და არც ერთში არ აღმოჩნდეს მარგალი-
ტი. სამაგიეროდ, ზოგჯერ შეძლება ერთ ნიუარაში აღმოჩნ-
დეს მთელი გროვა მარგალიტისა. ყოფილა შემთხვევა, რომ
ერთ ნიუარაში უპოვნიათ 150 მარგალიტი. რა არის მიზეზი,
რომ ზოგი მარგალიტის ნიუარა აკეთებს მარგალიტს, ზოგი
კი არა? რომ მარგალიტი ისე საჭირო იყოს ამ პატარა ცხო-
ველისათვის, როგორც თვით ნიუარა, მაშინ, ეჭვი არ არის,
ყველა მათგანს ექმნებოდა და არა ზოგიერთის. სჩანს, გარგა-
ლიტი ჩნდება ნიუარაში როგორდაც შემთხვევით. მოპხდება
ისე, რომ შემთხვევით ნიუარაში მანტიასა და ხოჭოს შეა შე-
ჰყვება სილა ან ქვის ნაფხვენი. ეს ნაფხვენი აწუხებს ცხო-
ველს, რის გამო კირის ნაუონი მანტიაში ამ ალაგას მატუ-
ლობს, თანდათანობით, თხელ ფენებად. ეს კირი ეკვრის
ნაფხვენს გარშემო და ჰეჭარავს; ამ რიგად კეთდება ის
მარცვალი, რომელსაც მარგალიტს ეძახიან. ჩინელებმა ეს
დიდი ხანია იცოდნენ, მაშინ, როდესაც ევროპიელ მეცნი-
ერებს ვერც-კი გაეგოთ, როგორ ჩნდებოდა მარგალიტი.
გაიგეს თუ არა, როგორ ჩნდებოდა მარგალიტი, ჩინელებმა
მიმართეს ისეთ ხერხს, რომ ამ ცხოველს აკეთებინებდენ
სხვა-და სხვა მარგალიტის პატარა ნივთებს და, აი, როგორ:

აიღებდნენ პატარა ტყვეის ფიგურას, დაიჭირდნენ ზღვებს.
ში, ან მდინარეში ერთ გვარ ჯიშის ნიჟარას, ჩაუდებდნენ



ხელოვნური ჩინური მარგალიტი.

მანტიაში ამ ფიგურას და
გაუშვებდნენ წყალში. რამ-
დენსამე ხნის განმავლო-
ბაში ეს ფიგურა ცხოვე-
ლის სხეულში დაიფარე-
ბოდა თხელ-მარგალიტის
ფენებით; შემდეგ ნიჟარას
ისევ იჭირდნენ და ფიგუ-
რას, მარგალიტად ქცე-
ულს, ისევ ამოსჭრიდნენ.

როგორ იღებენ ზღვიდან მარგალიტს და სადაფი?

როგორც ვიცით, მარგალიტიც და სადაფიც შესდგება
ძალიან იაფ-ფასი ნ მასალისაგან, უბრალო კირისაგან, რომე-
ლიც დედამიწაში ყველგან ბევრია. მაგრამ პატარა ლორწოი-
ან ცხოველს, მარგალიტის ნიჟარას, შეუძლიან ამ უბრალო მა-
სალიდან დაამზადოს მშვენიერი, ბრჭყვიალა მარგალიტი და
ცისარტყელასავით მოელვარე სადაფი. აღამიანს არ შეუძლი-
ან ასე ხელოვნურად დაიმუშაოს კირი. პატარა ლორწოიანმა
ცხოველმა-კი, თუმცა არა აქვს არც თვალები, არც ხელები,
არავითარი სამუშაო იარაღი. მაგრამ მაინც იცის ისეთი ხე-
ლოვნება, რომელიც ადამიანებმა არ იციან.

და, აი, აღამიანები იჭირენ ზღვაში მარგალიტის ნიჟა-
რებს, გამოაქვთ იქიდან მარგალიტი და სადაფი და ამზადებენ
სხვა-და-სხვა მშვენიერ სამკაულს და პატარა ლორწოიან ცხო-
ველების ნამუშევარით კოხტაობენ.

მარგალიტის ნიჟარების ჭერა ზღვაში ადვილი საქმე როდია.
ამისათვის ბევრი შრომა და ფულის ხარჯვა, ბევრი გაჭირვება
და განსაკუდელი უნდა იკისროს აღამიანმა. ის პატარა ცხოვე-

ლები, რომელნიც მარგალიტს ამზადებენ, სცხოვრობენ ზემოთ ზღვებში 5—8 და 15 საუკის სილრმეზედ. იქ ისინი წვანან გაუნდრევლად. რომ ზღვის ტალღებმა და მიმდინარეობამ აქეთ-იქით არ მიმოჰვანტოს, ნიუარები უშვებენ თავის სხეულიდან მწვანე ძაფებს; ამ ძაფების შემწეობით მაგრალ ეჭიდებიან ზღვის ძირში კლდეებს ან ქვებს. ზოგჯერ მარგალიტის ნიუარები ისე გროვდებიან ერთ ალაგას, რომ რამდენსამე ფენათ წვანან, ერთი მეორეზედ დახორავებული.

მარგალიტის ნიუარა ბევრ ზღვაში ბუდობს, მაგრამ უფრო კი ხშირია აზის ნაპირებად, სპარსეთის ყურეში და სამხრეთ ინდოეთის ნაპირებზედ, კუნძულ ცეილონის მიდამოებში. უმეტეს ნაწილად ამ ადგილებში იჭრები მარგალიტის ნიუარებს.

მძიმე და სახიფათო საქმეა ეს ხელობა. მარგალიტის ნიუარის დასპერად ადამიანი ზღვაში უნდა ჩაყურყუმელავდეს ხშირად 15 საუკის სილრმეზედ. ჩავა თუ არა ძირსა, იძენი. უნდა გასძლოს წყალში, რომ მოასწროს და მოჰველოვანს რამდენიმე ნიუარა და ჩასდოს ჩანთაში. მერე რა ძნელია ადამიანისათვის წყალში გაჩერება სულის მოუთქმელად! ჩვეულებრივ მჭერავი სძლებს წყალში $\frac{3}{4}$, წამს ან ბევრი, ბევრი 1 წამს და იშვიათი მჭერავია, ვინც წყალში სძლებს $1\frac{1}{2}$ წამს, ზოგი დარჩება წყალში კიდევ მეტ ხანს, მაგრამ ეს იაფად არ დაუჯდება: როდესაც ამოათრევენ წყლიდან, ცვეირიდან და ყელიდან სისხლი გადმოსდის. მჭერავის ასე დახელოვნება ყვინთვაში ბევრ ღროს მოითხოვს. იქაურ მცხოვრებლებს აჩვევენ ჩაყურყუმელავებას და წყალში დიდ ხანს გაძლებას ძალიან უძნელდებათ ბავშვებს ეს სწავლა. პირველ ხანებში გადაუგდებენ წყალში თეთრ ქვებს და ბავშვებიც სცდლობენ ჩაიყურჭუმელაონ და ქვა ამოიღონ. ყოველთვის, როდესაც ბავშვი ქვას ვერ იპოვნის და ისე დაბრუნდება, მწვავე მათრახი მოელის. თანდათანობით ქვას გადაისცრიან უფრო ღრმა წყალში და ეს ვარჯიშობა გრძელდება, სანამ ბავშვი არ ისწავლის ისეთ სი-

რომეში ჩაშვებას, სადაც მარგალიტის ნიუარები ბუდობს, დესაც ბავშვი ისწავლის კარგად ყურყუმელაობას, მერე ასწავლიან წყალში დიდ ხანს გაჩერებას. ამ წადილის მისაღწევად ზღვაში ქვაზედ მიაკრავენ ბადეს და ბავშვი ვალდებულია ბადე აღსნას და ისტ დაბრუნდეს. ვაი იმ ბავშვს, რომელიც ვერ შეასრულებ, ამ საქმეს,— მათრახი არ ასცდება. აი, ბავშვმა შეისწავლა თავისი ხელიბა, გაიზარდა და გახდა მოხერხებული მჟერავი. იმის სიცოცხლე მუდამ განსაკლელსა და ათას ნაირ გაჭირვებაშია. უნდა წავიდეს საშოვარზედ შეირი, იმიტომ რომ წყალი დიდ სილრმეში ისე მძლავრად აწვება მთელ სხეულს და მუცელს, რომ კუჭში საჭმელი არ დაადგება და ყელში ამოუვა. მხოლოდ, როდესაც თავის სამუშაოს მორჩება, მჟერავს მაშინ შეუძლია მიირთვას თავისი ღარიბული სადილი, ორიოდე მარცვალი ინდის ხურჩისა.


რამდენი ხიფათი დაატყდება თავს საცოდავ მჟერავს ზღვის წიაღში! ზღვაში ს ცხოვრობს სხვა-და-სხვა ონავარი თევზი, მაგალითად, აკულა (ნათელ-თევზა), ამ თევზს შეუძლიან თავის ბასრ კბილებით ერთ წამში გამოასალმოს კაცი წუთი-სოფელს, ან მოპელიჯოს ხელი, ფეხი და სხვა. თუმცა კი ისიც მართალია, რომ აკულა იშვიათად დაეცემა მჟერავს, რაღაც მარგალიტის მაძებარნი მიდიან საშოვარზედ მთელ პარტიობით და ბევრ ნავისა და მყვინთავებისაგან დიდი ხმაურობა და ურიამულია, აკულა ფრთხება და შორს გაურბის ასეთ ქრიამულს.

მაგრამ ზოგჯერ მაინც მშიერი აკულა არ შეუშინდება ხმაურობას, დაეცემა ერთ-ერთ მჟერავს და შთანთქავს. მარტო სპარსეთის ყურეში ყოველ წლივ იღუპება ამ თევზისაგან ოც კაცამდის. კიდევ უფრო საშიში არის ცხვირ-ხერხა თევზი; ამ თევზს ასეთი სახელი აქვს, იმიტომ რომ იმისი მაგარი, ორ არშინიანი ცხვირი ხერხივით კბილებიანია, თვით თევზი-კი სიგრძით $2\frac{1}{2}$ საჟენია. თავის გრძელი ცხვირით ეს თევზი შუ-

აზედ სჭრის საწყალ მჭერავს. სპარსეთის ყურეში მარგალიტის მაძებარნი მთელ ზაფხულს განაგრძობენ მუშაობას. მაგრამ ყუნძულ ცეილონის მიდამოებში მარგალიტის ჭერა წელიწადში ერთხელ არის დანიშნული. იწყება მარტში და გრძელდება არა უმეტეს $1\frac{1}{2}$ თვეისა. ამ დროს ზღვა აქ უფრო წყნარია და მჭერავებსაც ნაკლები ხიფათი მოელით.

6. წუწუნავა.

(შემდეგი იქნება).






ქ ი მ ი ა.

ჟანგი, სიმუავე და მარილი.

(დასასრული)



ირის შენადგენი. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი ნახშირმეულას კირჩედ. ეს კირი, როგორც წინადაც ვსოდეთ, შესდგება ნახშირმეულასა და კირისაგან. ნახშირმეულა შესღება ნახშირმბადის სამ ნაწილიდან და ჟანგმბადის რვა ნაწილისაგან.

ნახშირმეულას კირის ამ ერთ შემადგენელ ნაწილს ვიცნობთ. ახლა გავიცნოთ მეორე, გავიგოთ რა არის კირი; როგორი ნივთიერებაა, რთული თუ მარტივი. კირი რთული ნივთიერებაა: შესდგება ჟანგმბადისა და ერთ სხვა ნივთიერებისაგან, რომელიც ძნელი გამოსანაწილებელია კირისაგან. ამ მეტალის სახელი არის კალციუმი. ქიმიაში კირი კალციუმის ჟანგად იწოდება. ჟანგმბადი ყველა მეტალს უერთდება. რთული ნივთიერება, რომელიც ამ შეერთებისგან წარმოსდგება, არის ჟანგი. ზოგი მეტალი ძალიან ნელა უერთდება ჟანგმბადს, ზოგი კი ჩქარა. მაგ. ჩვენ რომ ახლა კალციუმის ნაჭერი გვქონდა და ჰაერჩედ გაგვედგა, კალციუმი საჩქაროდ შეისვამდა ჟანგმბადს; ჟანგმბადის შეერთება კალციუმს იქმდის შეუძლიან, სანამ იგი კირად არ გადიქცევა. კალციუმი რომ წყალში ჩავღოთ, შეერთება უფრო სწრაფად მოხდებოდა: კალციუმი გა-

అనాటిల్పేదడా ఠ్యాల్స శాంగమ్బాదుసా డా ఠ్యాల్మబాద్చీ. శాంగమ్బాద్చీ
 త్వితంక ఆండ్రాదా, ఠ్యాల్మబాదు కి గామోండ్యేవ్యేదడా ఠ్యాల్మిల్గాన.
 ఇస మేత్తాల్మి ఆండ్విల్మాద శాంగండ్రేబా, బెంగ్ ఆండ్విల్మాద ఉహర్తిల్గేబా శాంగ
 మ్బాదుస. జ్యేల్మా ర్కొనొస శ్వేచ్ఛోత. ప్యేల్మామ ఒప్పిస, ర్మమ ర్కొనొస
 నొత్తస, ర్మమఫ్యేబ్సాప్ గొన్డా, మ్మమ్బేబ్స ఫ్రోస దాంధ్రీబ్ త్యాగ్రీబ్ డా
 మాశ్మి ఏర్వితార్మి ప్రుల్లిల్గేబా ఏ మంబ్రెబ్బా. మాగ్రామ, త్తు అమా-
 వ్వె ర్కొనొస నొత్తస దాసత్రోవ్వెబ భ్యేసత్తొస త్యాగ్రీశ్మి, నొత్తి గాట్చుక్-
 డ్యేబా, భేమోద్గాన గాండాయ్యుర్మిస మొట్టితాల్మా ఉహర్తి ర్మాల్మా నొత్త-
 త్వీగ్రీబా, ఇస్రేడ ఠ్యాల్మేబ్యుల్లి శాంగ్సి. ర్మమ అమ్బొబ్బెన, ర్కొనొ డా
 శాంగ్సిబ్యుల్లాం - ఇస మిస త్యాంబొవ్స, ర్మమ ర్కొనొమ ఆంల్మా త్యాగ్రీబొగాన
 శాంగమ్బాదు డా శ్వేచ్చీగ్రీబా. అమ శ్వేచ్చీత్వేబొగాన ఢాంమొసిల్గా ఇస
 మొట్టితాల్మా నొత్తియీగ్రీబా, ర్మమ్బేల్సాప్ శాంగ్సి ఉప్పొఫ్. అమిల్లిత
 సింల్మెన్డిస. ఇస మేత్తాల్లి ఉఫ్రోమ భ్యేల్స ప్రువ్లుబా, సానామ ర్జొనొ,
 మాగ్రామ భొల్లిస డా భొల్లిస, భ్యేసత్తొస త్యాగ్రీశ్మి, సింల్మెన్డిప్ శాంగ
 డ్యేబా. భేమోద్గాన గాండాయ్యుర్మిస భ్యేవ్యాన్జీ, శ్బొమొసి నొత్తియీగ్రీబా,
 ర్మమ్బేల్సాప్ సింల్మెన్డిస సిమ్మొవ్యాన్జీ జ్యోతొస. సిమ్మొవ్యాన్జీ శ్వేచ్చొవ్స సిం-
 ల్లెన్డిస శాంగ్సి. బొమ శ్వేగిమ్బొమిత, గాంఘ్మేబ్బిల్లి సామొవార్మి, ర్మమ-
 మ్బేబొసామ్జ డిల్లిస శ్వేమ్బేబ్ త్యాగ్రీగ్వాస తావొస ఎల్వొమ్బొబస డా శొవ్వె-
 బా. సిష్మాజ్ మిస అమ్ర్కొప్రేబస, ర్మమ సింల్మెన్డి శాంగ్సిబ్బా. శొవ్సి, త్వేల్లి
 నొత్తియీగ్రీబా ఏరొస సింల్మెన్డిస శాంగ్సి. అభ్లా అమిల్లిత వ్యేర్పుబ్లిస
 ఠ్యాల్సి. బొమ జొనాబొవ్స ఇస భొట్యుమొన్మాప్ త్వేల్లిమాడి, గాథొమ్మాత, బాంమ-
 మేత్తిరొసత్తొస ర్మమ జొబొమ్బొత. డిమిల్లిసబ్బొబొమాప్ ర్మమ మిగ్గెస త్యాగ్రీ-
 భ్యేబా, వ్యేర్పుబ్లిస ఠ్యాల్స ఏరొట్యేరొ ఏ డాంఘ్మామ్బొమ్బా, ఏ డాంఘ్మామ్-
 భ్యేబా. మాగ్రామ త్తు ర్మమఫ్యేబొసామ్జ సాతొస, భేడ్లిభ్యేబ వాఫ్యుల్లేబా,
 ఠ్యాల్స భేమోద్గాన గాండాయ్యుర్మిస మొట్టితాల్మా, మిమ్మొమొన్మాప్ మెత్తొరొ-
 ఇస మెత్తొరొ వ్యేర్పుబ్లిస ఠ్యాల్సి శాంగ్సి. ప్రుడా, ర్మమల్లితాప్ గా-
 గ్గేస ఇస మొవ్లుబ్బా, తొర్వేల్లిమాడ ఏట్చార్మమ్బేస సాఫ్రొన్గొమ్మిశ్మి, శ్వేస-
 బొంబొమ్బా జొమొజొసి లొఫ్యుమొబొమ్బా. అమ ప్రుడిప డాంమెత్తొరొ, ర్మమ
 త్యాగ్రీశ్మి ఏరొస శాంగమ్బాదు. ఏఫ్రో డా వ్యేర్పుబ్లిప్ త్యాగ్రీభ్యేబ ఏరొ-
 సిప్పొమొసగాన డా ఏరొ సింబొమొగాన ఏరొస డాల్స ఏరొ శాంగ్సిబ్బా. ఏస,
 అమిత్తమాప్ వ్యేర్పుబ్లిప్ డా ఏఫ్రో జొర్మొస మేత్తాల్మేబాద ప్రువ్లుబా.

მაინც ქიმიკოსებმა მიიღეს ამ მეტალლების უანგი და ამასთან ძალიან ადვილად, თუმცა პირდაპირის გზით კი არა. იმ გარე-მოებისაგან, თუ როგორის სიადვილით ან სიძნელით უანგდება მეტალი ჰაერზე, დამოკიდებულია შემდეგი მოვლენა: ზოგი-ერთი მეტალი, მიწაში, წმინდა მდგომარეობაში იპოვება, ზოგიერთი უანგის, ან სხვა რომელისამე როულ შენაერთის სახით. ოქრო და პლატინა მხოლოდ წმინდა მდგომარეობაშია მიწა-ში: ან თვლების გვარად, ან არა დიდრონ, ბუნებრივ მეტალ-ლის სახით. წმინდა ვერცხლის, ვერცხლის წყალს და სპილენძს უფრო იშვიათად შეხვდებით. რკინა, თუთია, კალა და ტყვია კი წმინდა სახით მიწაში არასოდეს არ იმყოფება. ყოველ-თვის მაღნათ ჰქოვებენ. მაღნათ არის ისეთი კლდის ქანი, რომელშიაც მეტალლი შეერთდებულია ან უანგმბად-თან, ან გოგირდთან. რადგანაც რკინა, თუთია, კალა და ტყვია ძნელად და ცუდად უერთდება უანგმბადს, ამიტომაც მათი და ამ გაზის განცალკევება ადვილი მოსახერხებელია. სულ სხვაა კალციუმის განცალკევება ჰაერგვარისაგან, რადგა-ნაც სწრაფად და მჭიდროდ უერთდებიან უანგმბადს. კალციუ-მი და სხვა მის თვისების ქვენე მეტალლი არასოდეს არ იპო-ვება წმინდა მდგომარეობაში და მათი განცალკევება უანგმბადი-საგან საშინელი ძნელი საქმეა. ამას ახერხებენ ძრიელის ცეცხ-ლის შემწეობით. მაგ. კაცობრიობა უკვე დიდიხანია რაც კირ-სა ხმარობს და სარგებლობს მით. და მხოლოდ ასი წელიწა-ლია, რაც ინგლისელმა ქიმიკოსმა დევიმ, ელექტროს შემწე-ობით, პირველად გამოაწილადა კირიდგან კალციუმი. ამავე გზით, დევიმ, კალა ქვიდგან შეიძინა კალციუმი; ჩვეულებრივი მარილისაგან — მეტალლი ნატრი; მაგნეზიდგან — მაგნია. ამ უკა-ნასკნელ მეტალლს საკვირველი თვისება აქვს: კვარივით ინთე-ნდა და ძრიელ მბრწყინავ ნათელს იძლევა. კალაქვა, მარილი, მაგნეზია, დიდიხანია ყველასათვის ცნობილი იყო, მაგრამ ქი-მიკოს დევამდის, არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა; რომ თმა-

శి ఇస ఊర్మిద నాబ్లెన్జెబో మేత్తాల్పి పుష్టింపుష్టి లూ మేత్తాల్పి ఉపరింపుష్టి శాంగమ్భాల్స డా అమ శ్వేరింపుష్టింపుష్టిసాగాన చూర్చి మంసింపుష్టి శాంగి.

సిమ్యావ్యేభి. శాంగమ్భాల్సి అగ్రింపుష్టి స్వేచ్ఛ మార్కెటింపుష్టి నివ్వింపుష్టింపుష్టింపుష్టి తాపు ఉపరింపుష్టి శాంగి. ఇస నివ్వింపుష్టింపుష్టింపుష్టి మేత్తాల్పి అం కొంతమ్ముద్దీపి, రూడుగాన్చి మాత అంపు ప్రాంతమ్ముద్దీపి అప్పిత, అంపు నామింపుష్టి మేత్తాల్పిల్లిస స్వేచ్ఛ త్వాపుష్టి శాంగి. క్రీడ శ్వేచ్ఛ విప్రింపుష్టి, మాగాల్పింపుష్టి అం రూమ శాంగమ్భాల్సి ఉపరింపుష్టి శాంగమ్భాల్సి డా అహేబు నాబ్లెన్జెబోల్లిస శాంగి డా నాబ్లెన్జెబోల్లిస. గ్రంథింపుష్టి న శ్వేరింపుష్టింపుష్టి శాంగమ్భాల్సి అహేబు గ్రంథింపుష్టి డిస డా గ్రంథింపుష్టింపుష్టి సిమ్యావ్యేస. ఫోసట్టింపుష్టింపుష్టి శ్వేరింపుష్టింపుష్టి — ఫోసట్టింపుష్టింపుష్టి రూమిస డా ఫోసట్టింపుష్టింపుష్టి శాంగి సిమ్యావ్యేస. చీనాల క్రింపుష్టి గింతాంపింపుష్టి, రూమ శాంగమ్భాల్సి ఉపరింపుష్టి అంపుల్లిస డా అహేబు మాస్తాం గ్రంథింపుష్టి అం సిమ్యావ్యేస: అంపుల్లిస సిమ్యావ్యేస డా అంపుల్లు సిమ్యావ్యేస. అంపుల్లిస సిమ్యావ్యే క్రీడ శి మాగాల అంపుల్లిస సాబ్బెల్లింపుష్టి అంపుల్లిస చున్మింపుష్టి డా అంపుల్లిస చున్మింపుష్టి అం కొంతమ్ముద్దీపి, రూడుగాన్చి మాల్పింపుష్టి ప్రశార్యా. శ్వేబ్బెంట, రూమ శాంగమ్భాల్లిస డా మేత్తాల్పిల్లిస శ్వేబ్బెంట మే శాంగి డావార్క్షి, అం మేత్తాల్పిల్లిస మార్కెటింపుష్టి నివ్వింపుష్టింపుష్టి డా శాంగమ్భాల్లిస శ్వేబ్బెంట క్రి— సిమ్యావ్యేపు ఉపరింపుష్టి డా శాంగిపు. ఇస మిట్రాం రూమ సిమ్యావ్యేశి గ్రాంపింపుష్టి మేత్తాం శాంగమ్భాల్సి, విధర్జ శాంగిశి. మాగులాం గాన్సబ్బెవ్వెబో మార్కెటింపుష్టి ఇస అం అంపుల్లిస.

మార్కెల్లి. శాంగమ్భాల్లిస శ్వేరింపుష్టింపుష్టి శాంగి రూమ్మేల్లిసామే మేత్తాల్పిల్లి ఉపరింపుష్టి బెంబిల్లింపుష్టి చూర్చి శాంగి. శాంగమ్భాల్లిస డా రూమ్మేల్లిసామే మార్కెటింపుష్టి నివ్వింపుష్టింపుష్టి శ్వేరింపుష్టింపుష్టి క్రి— సిమ్యావ్యే. మేత్తాల్పిల్లిస శాంగి బెంబిల్లింపుష్టి ఉపరింపుష్టి శాంగి డా అమ శ్వేరింపుష్టింపుష్టి మింపుష్టి రూట్యుల్లి నివ్వింపుష్టింపుష్టి, — మార్కెల్లి. క్రీడ గావింపుష్టి, మాగు., రూమ నాబ్లెన్జెబో క్రికెట్ శ్వేసింపుష్టి నాబ్లెన్జెబో సిమ్యావ్యేశి (సిమ్యావ్యే) డా క్రికెట్ శాంగి (క్రాల్ప్రిమ్మిస శాంగి); మాశాసాం డామే, నాబ్లెన్జెబో క్రికెట్ అంపుల్లి. మంమేత్తెబ్బుల్లి నాట్చిల్లి ఇమ నివ్వింపుష్టింపుష్టింపుష్టి శాంగి, రూమ్మేల్లిపు క్రిల్లిస జానాశించ, తావుంచ శ్వేబ్బెంట మార్కెల్లి చొరమాండగ్గెబు. మాశాసాం డామే, ఇస నివ్వింపుష్టింపుష్టింపుష్టి శ్వేచ్చావ్యే రూమ్మేల్లిసామే మేత్తాల్పిల్లిస, రూమ్మేల్లిసామే మార్కెటింపుష్టి, అం మే-



ტალღ ნივთიერებას და უანგმბადს. მაგ. თიხისაგან შექმნაშეა
მშვენიერი, ვერცხლის მზგავსი მეტალლი, ალლიუმინი. თიხა
შესდგება ალლიუმინის უანგისაგან და კაჟის სიმჟავისაგან.
უანგმბადი, კაჟი, ნახშირმბადი და მეტალლი კალი, ნატრი
კალციუმი, მაგნი, ალლიუმინი და რკინა, აი, ყველა ის, რის-
განაც შესდგება მრავალი კლდის ქანი. ყველა ეს ზემოდ მო-
ყვანილი ნივთიერება წარმოადგენენ მარილს, რადგანაც მა-
თი მიღება შეიძლება სხვა და სხვა მეტალლის უანგისა და ან
კაჟის, ან ნახშიროვან სიმჟავის შეერთებისაგან.

უუანგმბადო მარილი.

— მაშ, ის მარილი, რომელსაც ვხმარობთ, უანგმბადს შე-
იცავს?

— მე ველოდი, რომ მაგასა მკითხავდი, ანდრო. შენი
აზრი შემცდარია, მაგრამ არა უჭირს-რა... ყველა ქიმიკოსებ-
ში მხოლოდ დევიმ გამოიკვლია, საქმე როგორც იყო. ჩვეუ-
ლებრივს საქმლის მარილი შესდგება მხოლოდ ორ მარტივ
ნივთიერებისაგან: მეტალლნატრიისა და მომწვანო ჰაერგვარი-
საგან, სახელდობრ ქლორისაგან. ქლორი ძალიან ცხარეა; მი-
სი და წყალმბადის შენაერთი კი მჟავეა და თავის მოქმედებით
ძალიან წააგავს, რომელიც გინდა, სიმჟავეს მაგ. გოგირდის,
ან აზოტის სიმჟავეს. ქლორისა და წყალმბადის შენაერთს,
ქლორის წყალმბადს უწოდეს მარილის სიმჟავე, ალბად, იმ
ფიქრით, რომ მასში უანგმბადი არის. მაგრამ, შემდეგ აღმო-
ჩნდა, რომ მასში უანგმბადის სხენებაც კი არ იყო. ქლორი
მარტივი ნივთიერებაა. ქლორისა და მეტალლის შეერთებით
წარმოსდგება მარილი, რომელიც ძალიან წააგავს მეტალლე-
ბის უანგისგან და უანგმბადის სიმჟავისაგან მიღებულ მარილს.
სხვა ნივთიერებანიც, როგორც მაგ. გოგირდი, უერთდება მე-
ტალლს, და ამ შეერთებით შექმნის ხოლმე მარილის მზგავს
ნივთიერებას. ოქვენ უკვე პნახეთ გოგირდის რკინა, გოგირდი

უერთდება წყალმბაღს. გახსოვთ, ის მყრალი ჰაერგვარა და ჭურჭელია რებზე რომ ხელი მოგაჭერინათ. ის ჰაერგვარა გახლდათ გო-
გირდის წყალმბაღი.

გ ა მ ე ო რ ე ბ ა .

ქიმია.

როულნი და მარტივნი ნივთიერებანი. ის ნივთიერება, რომელიც შეიძლება განაწილდეს ორ, ან მეტ ნივთიერებად, და რომელიც ისევ მიიღება ამ ნივთიერებათა შეერთებით, არის რთული ნივთიერება. მარტივი ნივთიერება კი ისეთი ნივთიე-
რებაა, რომლის განაწილება რამდენსამე სხვა და სხვა ნაწი-
ლად არ შეიძლება; და მარტივ ნივთიერებათა რიცხვს ეკუთ-
ვნის მაგარი მეტალლი: ოქრო სპილენძი, რკინა, თუთია,
ტყვია, კალა და თხელი მეტალლი—ვერცხლის წყალი. არა
მეტალლთა შორის მარტივი ნივთიერებანია: გოგირდი, ნახშირი,
ფოსფორი, კაფი და ოთხი ჰაერგვარა: უანგმბაღი, წყალმბაღი,
აზოტი და ქლორი.

ანარევი და ქიმიური შენაერთი. როდესაც ორი ან რამ-
დენიმე ნივთიერება უბრალოდ და პირდაპირ არეულია ერთ-
მანეთში, ყოველი მათგანი უცვლელად რჩება. ანარევის მისა-
ლებად, ყოველ ნივთიერებას, რამდენსაც გვინდა, იმდენს ავი-
ლებთ. ქიმიურ შენაერთში, თვითეული ნივთიერება იკარგება
და მათ ბადლად ჩნდება ერთი, სრულიად ახალი ნივთიერება.
მარტივი ნივთიერებანი, რომელთაგანაც შესდგება შენაერთი,
თავიანთ წონას ინარჩუნებენ და შენაერთში მხოლოდ განსა-
ზღვრულ რაოდენობით შედიან.

წყალი. წყალი ქიმიური შენაერთია. შესდგება ორ ჰაერ-
გვარისაგან, უანგმბაღისა და წყალმბაღისაგან. წყალს ელექტ-
როს შემწევიბით ანაწილებენ; წყალმბაღის ორ ნაწილზე უანგ-
მბაღის ერთი ნაწილი მოდის.

წყალმბაღი. წყალმბაღი მნთებარე ნივთიერებაა. თუ რომ

წყალმბადის და უანგმბადის ანარევს ავანთებთ, მოხდების ფერების კედები და მივიღებთ ამ ორ გაზის ქიმიურ შენაერთს ე. ი. წყალს. ამისთანა აფეთქება ხშირია ქვანახშირის მაღაროებში. ქვანახშირიდგან გამოდის 'ჭაობის გაზი,' რომელიც წარმოადგენს წყალმბადისა და ნახშირის შენაერთს. მნათობი გაზიც შეიცავს წყალმბადს. ეს გაზი ინთება და, ჰაერთან არეული, აფეთქებას ახდენს. წყალმბადი ჰაერზე 14-ჯერ სუმბუქია. ამ გაზით ავსებენ ჰაერის ბურთებს. ამათვის კიდევ ხმარობენ მნათობ გაზს, რომელიც ჰაერზე სამჯერ სუმბუქია.

უავმბადი. უავმბადი ხელს უწყობს წვას. მის შემწეობით გვინთია ცეცხლი და სანათი. წვა ის არის, რომ მნოება-რე ნივთიერება უერთდება უავმბადს. უავმბადითვე სცოცხლობენ ადამიანი და პირუტყი.

ჰერი. ჰერი არის უავტბადისა და აზოტის ანარევი. ამ ანარევში უავტბადისა ერთი მეხუთედი ნაწილია, სხვა დანარჩენი ოთხი მეხუთედი ნაწილი აზოტისაა. ჰერიდან აზოტის გამოსანაწილებლად სწვამენ ფოსფორს. წვის დროს უავტბადი უერთდება ფოსფორს, აზოტი კი რჩება ჰერში.

აზოტი. აზოტი არც ინთება და არც ხელს უშევობს წვეს. წმინდა აზოტში სუნთქვა შეუძლებელია.

ნახშირმბადი. ხის ნახშირი, ქვანახშ-რი, ცეცხლით და-
წმენდილი ქვის ნახშირი, გრაფიტი, ალმასი, —ყველა სხვადასხვა
სახით, ერთ და იმავე ნივთიერებას წარმოადგენს, სახელობრ
ნახშირმბადს. ეს გაზი ყველა სამცენარეულო და საპირუტყვე-
ულო ნივთიერებაში იმყოფება. ნახშირმბადის ჟანგი საშინელი
შეამია. მისგან ოთახში ტრიალდება ნახშირის მავნებელი სუ-
ნი. ამ გაზის ერთი მეოთხედი ნაწილიც კი საკმაოა, რომ
ადამიანი მოიწამლოს. ნახშირმბად-ს ჟანგი ინთება, ე. ი. უერთ-
დება ჟანგმბადს. ამ შეერთებისაგან ჩნდება ახალი გაზი—ნახ-
შირმჟავა.

ნახშირმჟავა. ნახშირმჟავა ჩნდება ბუჩარში იმ დროს,

როცა დიდი ცეცხლი ანთია. ნახშირმჟავა ორჯელ მეტაურებელი მბადს შეიცავს, სანამ უანგი. ამოსუნთქვის დროს, ადამიანს ამოაქვს ნახშირმჟავა. ცომის გაღვივება, ლვინისა, ლუდისა, კვასისა და სხვა სასმელების დუღილი ჰპალავს ნახშირმჟავას.

ნახშირმჟავას კირი. ნახშირმჟავას კირი არის ნახშირმჟავასა და კირის შენაერთი; მისგან შესდგება კირის ქვა, ცარცი და სხვა.

უანგები. კირი არის კალციუმის უანგი, ანუ კირი არის უანგმბადისა და კალციუმის შენაერთი. ყველა მეტალი უანგდება, ე. ი. უერთდება უანგმბადს და შეიქმნება უანგად. რკინა უანგდება ნესტიან ჰაერში. სპილენძიც უანგდება, მაგრამ ისე ჩქარა არა, როგორც რკინა. ოქრო და პლატინა, არც ჰაერში, არც წყალში არ უანგდება, ამიტომაც წმინდა შდგო მარეობაში იძოვება. რკინა, თუთია, კალა და ტყვია მიწაში მაღნის სახით იმყოფება. ე. ი. მიწაში გოგირდის და უანგმბადის შენაერთს წარმოადგენს.

სიმჟავენი. ნახშირმჟავა, გოგირდოვანი სიმჟავე, ფოსფოროვანი სიმჟავე, აზოტოვანი სიმჟავე, არის უანგმბადის და არამეტალლთა მარტივ ნივთიერებათა შენაერთი. სიმჟავე უფრო მეტს უანგმბადს შეიცავს, სანამ უანგი.

მარილები. მეტალლის უანგი ხარბად უერთდება სიმჟავეს. მათი შენაერთი მარილად იწოდება. ნახშირმჟავას კირი არის მარილი: შესდგება კალციუმის უანგისაგან და ნახშირის სიმჟავისაგან. თიხა შესდგება ალლიუმინის უანგისა და კაუის სიმჟავისაგან. არის ისეთი მარილიც, რომელშიაც არ იმყოფება უანგმბადი. საჭმელი მარილი მეტალლ ნატრიის და მარტივ ნივთიერების გაზი ქლორის შენაერთია.

6. ლომაური.

დასასრული.





გასართობი

ანდაზებით თამაშობა.

(წარმოდგენილი თეატრ კანდელაკის-შიერ).

ფრიად სასარგებლო და სახალისო თამაშობაა. მოთამაშენი სხედან რიგ-რიგზე. ერთი იმათვანი განშორდება სხვებს და გავა გარედ, ან მეორე ოთახში. სხვები ამ დროს იგონებენ ანდაზას, რომელშიაც უნდა იყვეს იმდენი სიტყვა, რამდენიც მოთამაშეა. თუ ოთხი თამაშობს, აირჩევენ ოთხ-სიტყვიან ან-დაზას, მაგალითად: „თეთრი კბილი შავი გული“. და ამ სი-ტყვებს გაიყოფენ რიგ-რიგად.

პირველს შეხვდება სიტყვა „თეთრი“, მეორეს „კბილი“, მესამეს — „შავი“ და მეოთხეს „გული“. მერე დაუძახებენ გა-რედ გასულს მოთამაშეს. ის შემოვა და მიმართავს პირველ მოთამაშეს კითხვით, მაგალითად: „რას აკეთებდი დღეს?“ იმან უნდა უამბოს რაიმე, მხოლოდ იმ პირობით, რომ პა-სუხში ჩაურიოს სიტყვა „თეთრი“, რომელიც შეხვდა. პასუ-ხი, მაგალითად, ასეთი იქნება: „დღეს მე გამგზავნეს ბაზარში პურის საყიდლად. როგორი დამაბარეს, ყური არ უგდე და შინ რომ დავბრუნდი, გამიჯავრდნენ: შე ყრუანჩელავ, ჩვენ თეთრი პური დაგაბარეთ და შენ შავი მოგიტანია? და ხელ-

მეორედ გამავდეს ბაზარში გამოსაცვლელად საშინელ სტრუქტურა
ში. აი, რა მოსდევს უყურადღებობას!..“

შემოსული მოთამაშე ახლა მეორეს ჰკითხავს: „შენ რაღას
აკეთებდიო?“ ის მიუგებს: „მეც ბაზარში გამგზავნეს კაკლის
საყიდლად. სულმა წამძლია, რამდენიმე კაკალი მოვიპარე და
გზა-გზა ვახრამუნებდი; მაგრავ ის ოხერი, ერთი კირკიტი გა-
მოდგა და გატეხის დროს კბილი მომტეხა!.. იცოდეთ, რომ
ნაჭურლალი კაცს არ შეერგება!“

გამომცნობმა უნდა გამოიცნოს ჯერ ანდაზის შემაღენე-
ლი სიტყვები და მერე თვით ანდაზაც. თუ ვერ გამოიცნო,
სამჯერ უნდა „გაიბუტოს,“ (ე. ი. გავიდეს გარედ) და თითო-
ეულ იმის გასვლაზე სხვა ახალ-ახალი ანდაზა უნდა მოიგო-
ნონ. თუ გამოიცნობს, მაშინ თამაშობაში იღებს მონაწილეო-
ბას და მის ნაცვლად სხვა გავა გარედ რიგით.

ანდაზაში შეიძლება მოთამაშეების რიცხვზე მეტი სიტ-
ყვებიც იყოს. მაშინ ზოგს ორ-ორ სიტყვას შეახვედრებენ.
მაგალითად, ანდაზას „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარ-
მოსდინდება,“ ოთხი მოთამაშე ასე გაინაწილებს: ერთს შევ-
დება „კოკასა შიგან,“ მეორეს — „რაცა სდგას,“ მესამეს —
„იგივე“ და მეოთხეს — „წარმოსდინდება“. მხოლოდ ამ შემახვე-
ვაში გამომცნობს უნდა გამოუცხადონ, რამდენი სიტყვისაგან
შესდგება ანდაზა. თუ მოთამაშეთა რიცხვი ოთხზედ მეტია,
ისეთი ანდაზა უნდა აირჩიონ რომ თითოს თითო სიტყვა შე-
ხვდეს.

თუში და ჭაჭარი.

III რჩა თუშა ბაზარზე ჩაიარა. ერთს უნდოდა ჩოხა
ეყიდნა. ერთს ვაჭართან შევიდნენ და მოითხოვეს ჩოხა. ჩოხის



ମେଘରୁଷେଲମା କେଳିଥି ଗାଢାବ୍ରତୀରିବାଲ୍-ଗାଢମରାତ୍ରିରିବାଲ୍. ମେର୍ଗ ଶାଗୁଡ଼ା,
କାରଗାଲ ମନ୍ଦ୍ୟାବିଦା ଦା କ୍ଷେତ୍ରସା ପାହାରୀ:

— ଏହିଥି କାହାର ରା କିନ୍ତୁବା?

ପ୍ରଦୀପମା ପାହାରମା, ତୁମପୁ ଏହା ଲିରଦା, ପାହେତୀ ମାନ୍ଦେତି
ଦାଉଫାସା. ତୁମିଥା ଏହା ଯୁତ୍କରା ରା, ପାହେତୀ ମାନ୍ଦେତି ମିଳିଲା ଦା
ହିନ୍ଦା ଫାମାନିଲା. ଗାର୍ଜେଲ ରନ୍ଧ ଗାଢମାବିଦନ୍ତେନ, ଗାକ୍ଷାନିର୍ବେଦ୍ୟାଲମା ଏହି
ବାନାଗମା କ୍ଷେତ୍ରସା:

— ଶେନି କବନ୍ଦେଶାମ୍ଭେ, ଏହି ହିନ୍ଦାର କ୍ଷେତ୍ରସା ମାନ୍ଦେତି ଏହା ଲିରିଲ ଦା
ଶେନ-କି ପାହେତୀ ମାନ୍ଦେତି ଏହାର ମିଳିପା.

— ଏହା ଯୁଶାଙ୍କେ-ରା, ମନୋଦିଲା, — ମିଳିଗର ଏହିବାନାଗମା — ତୁମାଲୀ
ମିଳା ଦାଉଦଗ୍ରେ, ରନ୍ଧ ଦାରିଦ୍ରିଶାବ ମନ୍ଦ୍ୟାବିଦେବା, ରାତ୍ରି ମେତୀ ଏହି
ଯୁତ୍କରାନିଲା, ତମର୍ଜେଥ ମେ ଏହି ପ୍ରବେଶ ଗାଢମାବିଦି ଦା ନିଃବ ଏହି ବିନ୍ଦେବି.

୩. ଫାରାଶ୍ଵରିଲା.



ପଠ-୬ ନଂ-୩୦ ମନୁତାବସେଧଶାଲ କେବଳଶିଖ ଏହିଶିଖିର ଏଲିନ୍ଦା:

ତୁ କ୍ଷେତ୍ରସା ପାହାରିଦ୍ଵାରା ଦିମନ୍ଦିନିଲି, ତାହାର ପ୍ରବେଶ କ୍ଷେତ୍ରସା କ୍ଷେତ୍ରସା.